ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 18 იანვარი, 2018 №14 (7559) ფასი: 50 თეთრი

## ვინ მფარველობს არასრულწლოვანთა ბანდებს თბილისში

ზაზა ქაია: „ნაქურდალის ლომის წილს ბანდების „ატამანები“ ითვისებენ, ხოლო ბავშვებს გროშებს უყრიან“



გვ.3

16 იანვრიდან

ალექსანდრე იასალაშვილი

„მგლის ბილიკი“

ქართული დეტექტივი ტომი 1




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

# სანდრო ბრეგაძე: „მარგველაშვილი პატიმრების შეწყალებაში ფულს იღებს“



„პრეზიდენტი თუ მიჩივლებს, ფაქტებს დავდებ“



გვ.2

## „ოცნება“ თოხის და ბარის რევოლუციას მიიღებს“

ბეჟან ნათელაშვილი: „დავით ჭიჭინაძე „ქართული ოცნების“ სახეა“ გვ.4





## ვინ იქნება პრეზიდენტობის კანდიდატი — დავით სერგეენკო თუ გიორგი კვირიკაშვილი?







გვ.4 გია ხუხაშვილი: „ოცნებაში“ ინტრიგები და მამაძაღლობა დაიწყება“



## „გახარია პრემიერობისთვის ემზადება“

გვ.3

დავით ზურაბიშვილი: „ივანიშვილი ქვეყანას სუსის დახმარებით მართავს“



## სამართალი

გვ.7

ვინ არის დაკავებული გიორგი ჭანტურია, რომელმაც გენერალი ქუთათელაძე მკვლელობამდე ნახა





„დუდაევის მკვლელობაში ეჭვმიტანილმა გაქცევა მოახერხა“



ნუცუბიძეზე გარდაცვლილი პაატა პავლიაშვილის საქმე შსს-ს გენინსპექციას გადაეცა

კლუბ „ბასიანის“ თანამფლობელი: „არ გვიხარია ვინმეს ციხეში ჩასმა“

## ეკონომიკა

გვ.6

თბილისის მერის მოადგილე ბაგა-ბაღებში მენიუს ცვლილებაზე



დაავადებათა კონტროლის ცენტრი: „ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი ვაქცინა არ გამოყენებულა“



თბილისში სამშენებლო ნებართვების გაცემის საბჭოს საქმიანობა არ არის გამჭვირვალე



ISSN 1987-9385

8 სანქციებში შესაყვანი კრემლთან დაახლოებული პირები მალე დასახელდებიან

7 გურიაში ღორების მოპარვის ბუმია

5 დიმიტრი ლორთქიფანიძე: „უკვე მეხუთედ მომივიდა მესიჯი, რომლითაც ნარკოტიკის ყიდვას მთავაზობენ“

2 გიორგი მარგველაშვილი: „რა ლოგიკით შევიწყალო მიხეილ სააკაშვილი?!“

# სანდრო ბრეგაძე: „მარგველაშვილი პატიმრების შეწყალებაში ფულს იღებს“

ნონა ცაბაძე

ქართული მარშის ერთ-ერთი ლიდერი სანდრო ბრეგაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში შექმნილ ვითარებას აფასებს და პრეზიდენტ მარგველაშვილთან დაკავშირებით სკანდალურ ინფორმაციებს ასაჯაროებს.

***— ბატონო სანდრო, ბოლო პერიოდში საზოგადოებაში უკმაყოფილოთა რიცხვი იზრდება. სოციალური და ეკონომიური ფონის გაუარესებას კრიმინოგენური ვითარების დაძაბვაც დაერთო. რა ხდება? ვერ ართმევს თავს ხელისუფლება დაკისრებულ ვალდებულებებს?***

— პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ერთი რამ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს სრულ პოლიტიკურ ქაოსთან. ეს შეეტყო კრიმინოგენურ სიტუაციას, ეკონომიკურ სიტუაციას, რამაც გამოიწვია სიტუაციის უკიდურესად დაძაბვა და გამწვავება. ეს არის კოლაფსი, რომელსაც წინააღმდეგობას ვერ უწევს მოსახლეობა. კორუფციამ წალეკა ეს ქვეყანა!

***— ყველა დონეზეა კორუფცია?***

— ყველა დონეზე კორუფცია ყვავის. მე მაქვს დადასტურებული ინფორმაცია საკმაოდ სანდო წყაროებისგან, იმ ადამიანებისგან, რომლებსაც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აქვთ გადახდილი თანხა იმისთვის, რომ თავისი პატიმარი, ნათესავი თუ ოჯახის წევრი გამოეყვანათ ციხიდან.

***— რისი თქმა გინდათ, რომ პრეზიდენტის შეწყალება ფული ღირს? ეს სერიოზული ბრალდებაა. ამას რით დაამტკიცებთ?***

— მე ჰაერზე არ ვისვრი ამ სიტყვებს. კონფიდენციალური წყაროსგან მაქვს ეს ინფორმაცია და ეს უტყუარია. მაქვს თუნდაც იგივე პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან და ასევე ეს რამდენიმე პატიმრის მშობელმა დამიდასტურა, რომ ერთგვარი ტარიფი, რომელიც არსებობს პრეზიდენტთან იმისთვის, რომ მან პატიმარი შეიწყალოს, იწყება 30 ათასი ამერიკული დოლარიდან და ადის 100, 200 და 300 ათას ამერიკულ დოლარამდე.




ტარიფი განისაზღვრება იმით, თუ რამდენად მძიმე დანაშაულში ბრალდებული პირი უნდა შეიწყალოს. ე.წ. პრეზიდენტი მარგველაშვილის მიერ შეწყალებულია უამრავი ნარკორეალიზატორი, ყაჩაღი, მკვლელი და სხვა მძიმე დანაშაულში ბრალდებული პიროვნება, რომლებიც პრეზიდენტის შეწყალების აქტის საფუძველზე გარეთ არიან გამოსულები. როდესაც ქვეყნის პრეზიდენტი და მისი ადმინისტრაცია კორუფციაშია გახვეული, ეს მეტყველებს იმაზე, რომ ქვეყანაში ყველა დონეზე კორუფცია ყვავის.

***— ანუ თქვენ დამნაშავეების შეწყალების ფაქტს კორუფციით ხსნით? ეს სერიოზული ბრალდებაა.***

— ეს ბრალდება არ არის, ეს გახლავთ დაზუსტებული ინფორმაცია იმ პატიმრების მშობლებისა, რომლებმაც თავად გადაიხადეს ფული პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, ის ფული მივიდა უშუალოდ პრეზიდენტთან. მე გეუბნებით მათ ნაამბობს და არა ქუჩაში და საზოგადოებრივ ტრანსპორტში გაგონილ ჭორს. თავად მითხრეს! მე მიმაჩნია, რომ პროკურატურა უნდა დაინტერესდეს ამ საკითხით...

***— შეწყალების თემით?***

— დიახ! უნდა დაიწყოს გამოძიება და თუკი გამოძიება წარიმართება ობიექტურად და პროფესიონალურად, ისინი ძალიან ადვილად დაადასტურებენ და აღმოაჩენენ, რომ ეს ადამიანი არის ჩვეულებრივი მექრთამე, რომელიც ცდილობს, რომ პატიმრების შეწყალების ხარჯზე მოიწყოს ცხოვრება!

ერთ-ერთმა პირმა, რომელიც ხელმძღვანელობს სერიოზულ სტრუქტურას, მითხრა, რომ როდესაც მარგველაშვილი პრეზიდენტი გახდა, მეორე დღესვე ყველანაირი მონაცემები წაშალეს კომპიუტერიდან მისი ოჯახის წევრებზე, რომ ისინი იყვნენ ოფიციალური მომხმარებლები მეტადონის. თუმცა ეს მონაცემები დარჩენილია.

***— ამ განცხადებების გამო მარგველაშვილს შეუძლია გიჩივლოთ.***

— მე თუკი რაიმე ტყუილს ვამბობ, მიჩივლოს! ამას საჯაროდ ვაცხადებ, თუ მე სიმართლეს არ ვლაპარაკობ, მაშინ მარგველაშვილმა მიჩივლოს სასამართლოში. მე კი მას წარვუდგენ დამამტკიცებელ საბუთებს იმისას, რომ მისი ადმინისტრაციის ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობის პირი, მისი ოჯახის წევრები, მეტადონის პროგრამის წევრები იყვნენ.

მე პრეზიდენტიდან რატომ დავიწყე ამ პრობლემებზე საუბარი? ქვეყნის სათავეში არის ადამიანი, რომელიც არის ნარკომანების, მკვლელების და ნარკობარონების მფარველი და არის მათ გარემოცვაში, შეწყალებული პატიმრის წევრები პირდაპირ ხელს ადებენ მას და აცხადებენ, რომ მასთან მივიდა ქრთამი.

როდესაც ეს ამბავი გახმაურდა, ამის შესახებ ძალიან ბევრმა გაიგო და, ამის მიუხედავად, არაფერი არ ხდება, რომელ ქვეყნის განვითარებაზეა ლაპარაკი?!

***— საუბარია, რომ მარგველაშვილს მეორე ვადითაც სურს პრეზიდენტობა და ამისთვის მზადება უკვე დაიწყო. სააკაშვილს არ შევიწყალებო, ისიც განაცხადა.***

— ეს ყველაფერი პიარის ნაწილია. ერთმა ტელევიზიამ გააკეთა პრეზიდენტზე კრიტიკული გადაცემა და რუსთავი 2-მა, რომელიც ნაცმოძრაობის პირადი ტელევიზიაა, ორ დღეში პიარგადაცემა მიუძღვნა მარგველაშვილს, რადგანაც ნაციონალური მოძრაობისთვის ყველაზე კომფორტული პრეზიდენტი გახლავთ მარგველაშვილი.

***— ბატონო სანდრო, თქვენ საუბრისას ნარკოპოლიტიკა ახსენეთ. საზოგადოებაში ამ თემაზე დიდი დავა მიდის, პარლამენტმა კანონპროექტი შეაჩერა. როგორც გაირკვა, პრეზიდენტი მხარს უჭერს აღნიშნულ კანონპროექტს.***

— დაუჭერს მხარს, აბა რას იზამს, მთლიანად ნარკომანების გარემოცვაშია.

***— მერწმუნეთ, აუცილებლად გიჩივლებთ პრეზიდენტი ამ განცხადებებისთვის.***

— მე გეუბნებით, რომ ვერ მიჩივლებს ის სასამართლოში. მან ზუსტად იცის, რომ თვალებზე ავაფარებ ამის დამამტკიცებელ საბუთებს! უბრალოდ, ქალბატონები არიან ეს ადამიანები და ამიტომ ვარიდებ თავს კონკრეტიკას. ამ ეტაპზე თავს ვიკავებ საჯაროდ მათი სახელების და გვარების დასახელებისგან. თუ სასამართლოში მიჩივლებენ, მერე უკვე საქვეყნოდ და საჯაროდ განვაცხადებ, თუ ვინ არიან ეს პირები.

***— ზოგადად ნარკოპოლიტიკაზე რას იტყვით?***

— ქვეყანაში, ჩვენს დედაქალაქში და აბსოლუტურად ყველა უბანში მასობრივად იყიდება ნარკოტიკები! ნარკოტიკების გაყიდვამ მიიღო იმაზე უფრო მასშტაბური სახე, ვიდრე ის იყო ედუარდ შევარდნაძის და თუნდაც მხედრიონის მმართველობის პერიოდში. თქვენი გაზეთის მეშვეობით, სხვა საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით, მე არაერთხელ მოვუწოდე შს მინისტრს, ბატონ გახარიას და პირადადაც მივაწოდე ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თბილისის ცენტრში არსებობს ოფიციალურად ნარკოტიკების სადილერო ადგილი, ეს არის დინამოს სტადიონთან მდებარე კლუბი „ბასიანი“. მთელმა თბილისმა იცის, რომ ამ კლუბში იყიდება ნარკოტიკი. იქ არის ჩვეულებრივი ნარკოტიკების ბაზრობა.

***— ინციდენტი რომ მოხდა, იმ კლუბს გულისხმობთ?***

— სწორედ იმას. ეს არის ჩვეულებრივი ნარკობარიგების, ნარკობარონების თავშეყრის ადგილი, სადაც ხდება მასობრივად ნარკოტიკების გაყიდვა. დაცვის წევრები თუ პოლიციელები, რომლებიც ამ ინციდენტში ფიგურირებენ, არიან ამ ნარკობარონების ე.წ. კრიშები. ისინი მფარველობენ ამ ნარკობარონებს. გახარიამ ყველაფერი მშვენივრად იცის. ერთი პოლიციელიც კი არ გაუშვია ამ კლუბში სიტუაციის შესამოწმებლად. მან მშვენივრად იცის, რომ კლუბ „ბასიანში“ არის ჩვეულებრივი დახლი, სადაც იყიდება ნარკოტიკები!

***— მაშინ რატომ არ რეაგირებენ, თუკი იციან ეს ყველაფერი?***

— იმიტომ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს უმაღლეს ეშელონებში მიდის დიდი წილი ამ ნარკოტიკების ვაჭრობიდან. კარგით რა, ამის შემდეგ რომელ ნარკოპოლიტიკაზე ვსაუბრობთ?! ან რაში სჭირდებათ ამ ნარკოტიკების ლეგალიზება, ისედაც ლეგალიზებული არ არის?! შსს-ს მაღალჩინოსნებმა პოლიციელებს აუკრძალეს ამ კლუბთან მიკარება და აღნიშნულ ფაქტებზე რეაგირება.

ყველაფერი ეს ხდება სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ. მილიონობით ლარზეა საუბარი. სერიოზული თანხა მიდის მფარველების ჯიბეში.

## გიორგი მარგველაშვილი: „რა ლოგიკით შევიწყალო მიხეილ სააკაშვილი?!“

— რა ლოგიკით შევიწყალო მიხეილ სააკაშვილი?! — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, პროკურატურა და სასამართლო ვერ არკვევს საქმის ძირითად, სამართლებრივ არსს და საქართველოს პრეზიდენტი მათ შეცდომებს შეწყალებით ვერ გამოასწორებს. მარგველაშვილის განცხადებითვე, შეწყალება ემოციურ მიდგომებზეა დამოკიდებული, თუმცა, იმ სისტემის შემხედვარეს, რომელიც, მისი თქმით, სააკაშვილმა შექმნა და დღესაც წარმატებით მუშაობს, სააკაშვილის მიმართ ემოციები არ აქვს.

— რა ლოგიკით შევიწყალო მიხეილ სააკაშვილი?! პროკურატურას ვერ გაურკვევია, ბრალი როგორ უნდა წაუყენოს, როგორ ჩამოაყალიბოს გამოძიება, მოსამართლეს ვერ გაურკვევია ზღვარი შეწყალების მუხლის არაკანონიერ გამოყენებას, შეთქმულებასა თუ ქრთამს შორის და საქართველოს პრეზიდენტი გამოვიდეს და შეწყალებით გაასწოროს შეცდომები?!

შეწყალება არ არის, რომ სასამართლოს შეცდომების პრეზიდენტის მიერ გასწორება ხდება. შეწყალება არის წყალობა, სხვა ადამიანისთვის ანგარიშის გაწევა, სხვა ადამიანის შეცოდების აქტი და მე, დღეს, როდესაც ამ რეალობის წინაშე ვარ, სააკაშვილის მიმართ მიჩნდება ემოცია?!

სააკაშვილი, რომელმაც მთელი ეს სისტემა ააგო — პროკურატურა თავისი ტრადიციებით, სასამართლო თავისი ტრადიციებით, სააკაშვილმა ისე შექმნა, რომ საერთოდ არ დაინგრა, როცა ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში და ის, რაც მე მეგონა, რომ შეიცვლებოდა, პირიქით, განმტკიცდა, დასტაბილურდა და მიშას ინტერესებს ემსახურებიან ალალ-მართლად.

სააკაშვილის სისტემამ მოკლა გირგვლიანი, მისმა სისტემამ დამალა დანაშაული, მისმა სისტემამ შეურაცხყოფა მიაყენა საქართველოს სტრასბურგში... მე მქონდეს განცდა, რომ სააკაშვილია დაჩაგრული?! სააკაშვილის სისტემა ყვავის ამ შემთხვევაში, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

## ოთარ დანელია: „კრიმინალთან დაკავშირებით საზოგადოებრივი პროტესტი არის და ეს პროტესტი უსაფუძვლო არ არის“

კრიმინალთან დაკავშირებით საზოგადოებრივი პროტესტი არის და ეს პროტესტი უსაფუძვლო არაა, — ამის შესახებ პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ოთარ დანელიამ განაცხადა.

— პირველ რიგში აღსანიშნავია მინისტრ გახარიას ძალიან აქტიური დამოკიდებულება და ძალიან გახსნილი, ასევე პრინციპული პოლიტიკა. ის იცავს პოლიციელის მუნდირს, რაც მე ვფიქრობ, არის მნიშვნელოვანი, მით უმეტეს, ბოლო მოვლენების ფონზე. ბოლო დროს მომხდარი კრიმინალური მოვლენები ნამდვილად არ უწყობს ხელს იმ რეფორმებს, რაც შს სამინისტროში დაიწყო. ვფიქრობთ, არ უნდა მოხდეს პოლიციელების დემოტივაცია ასეთი ქმედებებით, რომელიც ჩვენ დავინახეთ, მათ შორის სასამართლოსგან. ეს აბსოლუტურად მიუღებელია, — განაცხადა დანელიამ.

კითხვაზე, არის თუ არა პრობლემა ინსტიტუციების არათანმიმდევრულ მუშაობაში, დანელიამ აღნიშნა, რომ „რა თქმა უნდა, ეს არის პრობლემა“.

— როგორ შეიძლება ვთქვათ, რომ ეს არ არის პრობლემა, როცა ადამიანები ლამის სასიკვდილოდ გაწირეს და რაღაცა გაუგებარი ქმედებები იყო, რომელიც შეიძლებოდა დასრულებულიყო ძალიან ტრაგიკულად. ჩვენ ვნახეთ გადაწყვეტილება, რომელიც აბსოლუტურად მიუღებელია და საზოგადოებრივი პროტესტი სახეზეა და ეს პროტესტი არ არის უსაფუძვლო, — განაცხადა ოთარ დანელიამ.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ, ღამის კლუბ „ბასიანთან“ დაცვის ორი თანამშრომელი და პოლიციელი დაჭრეს. ბრალდებულ თამაზ ქვლივიძეს თბილისის საქალაქო სასამართლომ გირაო შეუფარდა, რაც სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდა.

## გიორგი აბაშიშვილი: „ქართული ოცნება“ შიდაპოლიტიკური პრაიმერისთვის ემზადება“

— როგორც ჩანს, „ქართული ოცნება“ შიდაპოლიტიკური პრაიმერისთვის ემზადება. ორივე (გიორგი კვირიკაშვილი და დავით სერგეენკო) ძალიან ღირსეული კანდიდატია და სიამოვნებით დავაკვირდებით ამ პროცესს, — ასე გამოეხმაურა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი აბაშიშვილი ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მმართველ პარტიაში პრეზიდენტის პოსტზე პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის, ასევე, ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს კანდიდატურას განიხილავენ.

რაც შეეხება იმას, მიიღებს თუ არა მოქმედი პრეზიდენტი მონაწილეობას მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში, აბაშიშვილის თქმით, ეს თავად გიორგი მარგველაშვილმა უნდა გადაწყვიტოს.

„ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, მმართველ პარტიაში პრეზიდენტობის სავარაუდო კანდიდატები მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობიდან განიხილება. სახელმწიფო მეთაურის პოსტზე კვლავ საუბარია პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის, ასევე ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს შესაძლო წარდგენაზე.

2018 წლის ოქტომბერში საქართველოს ამომრჩეველი პრეზიდენტს ერთჯერადად, 6-წლის ვადით აირჩევს. ახალი კონსტიტუციის გათვალისწინებით, ეს ბოლო საპრეზიდენტო არჩევნები იქნება, სადაც გადაწყვეტილებას პრეზიდენტის არჩევაზე ამომრჩეველი მიიღებს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ვინ მფარველობს არასრულწლოვანთა ბანდებს თბილისში

## ზაზა ჭაია: „ნაქურდალის ლომის წილს ბანდების „ატამანები“ ითვისებენ, ხოლო ბავშვებს გროშებს უყრიან“

ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარება ყოველდღიურად უარესდება. ამ მხრივ 2018 წელი საშინლად დაიწყო. ფაქტიურად დღე ისე არ გადის, ვინმე არ მოკლან. ყაჩაღობები თითქმის ჩვეულ ამბად იქცა.
სად დაუშვა ხელისუფლებამ შეცდომა, რატომ მატულობს კრიმინალი, დარჩნენ თუ არა შსს-ში პროფესიონალები, არის თუ არა თავად პოლიცია დაცული? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ სამართალდამცავთა დაცვის ლიგის წევრი, ქართველ პოლიციელთა ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი ზაზა ჭაია ესაუბრება.

შორენა მარსაგიშვილი

***– ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარება საშინლად დამძიმდა. არც აქამდე იყო კარგი მდგომარეობა, მაგრამ შს მინისტრად გიორგი გახარიას დანიშვნის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა დანაშაული. ეს გახარიას ბრალი არ არის, მაგრამ რაღაც ნამდვილად წესრიგში არ არის. თქვენი აზრით, რა ხდება?***

– ის რაც ახლა ხდება, არის იმ პრობლემების შედეგი, რაც ამ წლების მანძილზე შინაგან საქმეთა სამინისტროში დაგროვდა. კრიმინალის მატება თავიდანვე შესამჩნევი იყო, მაგრამ თავიდან გვეუბნებოდნენ, რომ გვეჩვენებოდა, შემდეგ გვითხრეს, რომ ასეთი დანაშაულები ადრეც ხდებოდა და მათ მედია არ აშუქებდა.

გიორგი გახარიამ აღიარა, რომ რთული ვითარებაა. მან თქვა, რომ მომატებულია ორგანიზებული დანაშაული. მან არსებული ვითარება რბილად შეაფასა, სინამდვილეში გვითხრა, რომ ქვეყანა თავზე გვექცევა.

სამართალდამცავთა დაცვის ლიგამ ჯერ კიდევ 2013 წელს შეიმუშავა რეკომენდაციები, თუ რა უნდა გაკეთებულიყო. მათი გათვალისწინება არ მოხდა და დღეს გვაქვს ძალიან მძიმე სურათი.

დანაშაული ყველა მიმართულებით მომატებულია. წინა ხელისუფლების დროს ბინის გაძარცვის ფაქტები აღარ იყო. ახლა ასეთ დანაშაულებებსაც ვხვდებით.

მომატებულია ყაჩაღობაც. საკმაოდ გახშირდა თავდასხმები მოხუცებზე. ბოლო პერიოდში ათეულობით ასეთი შემთხვევა მოხდა. აღსანიშნავია, რომ ადგილი აქვს მოხუცების წამებას, არაადამიანურ მოპყრობას. რამდენჯერმე ასეთი თავდასხმები ლეტალური შედეგით დასრულდა.

მომატებულია ქალთა მიმართ ძალადობა. წელიწადში მარტო ოჯახური ძალადობის შედეგად 20-25 ქალს კლავენ, თორემ მოკლულთა, დაჭრილთა და დასახიჩრებულთა რიცხვი ყოველწლიურად ასეულებს აღწევს.

ქალთა მიმართ ასეთი ძალადობის ფაქტები საქართველოში მხოლოდ ფეოდალურ ეპოქაში ხდებოდა, ისიც მტრების შემოსევის დროს.

საგანგაშო ვითარებაა გზებზე. გაზრდილია არასრულწლოვანთა სიკვდილიანობა ავტოსაგზაო შემთხვევებში.

მომატებულია დანაშაული თავად მოზარდებშიც. რამდენიმე დღის წინ ხაშურში სკოლის მოსწავლეებმა დაჭრეს ერთმანეთი. უფრო ადრე თბილისში სკოლის 2 მოსწავლე მოკლეს თანატოლებმა. იმ დღეებში 17 წლის მოზარდი მოკლეს იმერეთში.

მოზარდების მხრიდან დანაშაულის ჩადენის ფაქტები ძალიან გახშირდა. მათგან შემდგარი ბანდები ყოველდღიურად რამდენიმე მაღაზიას ქურდავენ.

თბილისში ბრენდი, ქსელი და მაღაზია აღარ დატოვეს გაუქურდავი, ბავშვების ამ ბანდების 95%-ს ასაკით გაცილებით უფროსები უდგანან სათავეში, გაქურდული ობიექტებიდან ბავშვებს ფულის და ბოლო დროს მობილური ტელეფონების გარდა, სხვა ნივთების წამოღებას უკრძალავენ. ნაქურდალის ლომის წილს ბანდების „ატამანები“ ითვისებენ, ხოლო ბავშვებს გროშებს უყრიან. ასჯერ შევთავაზეთ სახელმწიფოს რეკომენდაციები, როგორ უნდა გამოგლიჯოს ეს ბავშვები დამნაშავეთა სამყაროს და დაღუპვას გადაარჩინოს, მაგრამ, შეაყარე კედელს ცერცვი!

***– სამართალდამცავები თავს იმით იმართლებენ, რომ კანონი არ აძლევთ მათ იმის უფლებას, რომ დამნაშავე ბავშვებს ებრძოლონ.***

– კანონი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას არ კრძალავს. მონდომების შემთხვევაში კანონის შეცვლაც შეიძლება.

ბანკების დაყაჩაღებაც ჩვეულებრივ ამბად იქცა. იგივე ვითარებაა სწრაფი ჩარიცხვის აპარატებთან დაკავშირებით. რეგიონებში ეს აპარატები სოფლებიდან რაიონულ ცენტრებში გადაიტანეს, მაგრამ ამას მაინც არაფერი ეშველა.

მძიმე ვითარებაა ნარკოტიკების კუთხითაც. თბილისის ახლოს ნარკოტიკები თავისუფლად იყიდებოდა, მათი რეალიზაცია ხდებოდა ერთ-ერთ ფესტივალზე. სანამ ფესტივალზე ახალგაზრდა გოგონა არ დაიღუპა და ხალხმა პროტესტი არ გამოხატა, ხელისუფლებამ ამისთვის ვერ მოიცალა.

***– ძალოვან უწყებებში წინა ხელისუფლების კადრები მრავლად დარჩნენ. არის ვერსია, რომ მომატებული კრიმინალი მათი დამსახურებაა. ამ ვერსიის მე ნაკლებად მჯერა, მაგრამ საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ მათი მხრიდან საბოტაჟს აქვს ადგილი. თქვენ რას ფიქრობთ?***

– ეს არის ზღაპრები. ასეთი ლოზუნგები გასული საუკუნის 20-იან წლებში ბოლშევიკებს ჰქონდათ – კადრები წყვეტენ ყველაფერს, სიკვდილი საბოტაჟნიკებს და ა.შ.

ის რაც დღეს ხდება, იმ შეცდომების დამსახურებაა, რასაც ამ წლების მანძილზე ჰქონდა ადგილი. არსებული ვითარების გამოსწორება რთულია, მაგრამ არა შეუძლებელი.

***– არის ასეთი ვერსიაც, რომ შსს-ში პროფესიონალები აღარ არიან და ამიტომაც ვერ ებრძვიან კრიმინალს ეფექტურად. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ უწყება ბევრმა პროფესიონალმა დატოვა.***

– შსს-ში პროფესიონალები ისევ არიან. მათ გავლენები არა აქვთ. თუ ხელისუფლების ნება იქნება, ისინი გააკეთებენ თავის საქმეს.

სამართალდამცავთა დაცვის ლიგა და ქართველ პოლიციელთა ასოციაცია მზად ვართ, რეკომენდაციებით დავეხმაროთ შსს-ს. ჩვენ უამრავი რეკომენდაცია გვაქვს მზად.

***– გიორგი გახარიასთან თუ გქონდათ რაიმე კომუნიკაცია ამ რეკომენდაციების გასაცნობად?***

– არანაირი კომუნიკაცია არ გვქონია. სურვილის შემთხვევაში ჩვენ მზად ვართ, ჩვენი რეკომენდაციები მივაწოდოთ.

გიორგი გახარიამ თქვა, რომ ბევრი რამე შესაცვლელია და რაღაცების შეცვლაც დაიწყო. ეს საკმარისი არ იქნება. მარტო თანამდებობის პირების შეცვლა ვითარებას ვერ გამოასწორებს. აქ ქირურგიული ჩარევაა საჭირო.

საგანგაშოა, რომ შსს-ში სისტემური დანაშაული დაბრუნდა. ამას აუცილებლად უნდა მიხედოს ხელისუფლებამ და მინისტრმა.

სამწუხაროდ, პოლიცია არ არის აპოლიტიკური. 1989 წლიდან ამ სისტემაში ვართ და დღემდე ვერ მივაღწიეთ იმას, რომ პოლიცია აპოლიტიკური იყოს.



**„დათრგუნული და დაუცველი პოლიცია სხვას ვერ დაიცავს“**

უნდა ითქვას ისიც, რომ დღეს თავად პოლიცია არის დაუცველი. ის ყველა მხრიდან განიცდის ზეწოლას. ყველა მას აკრიტიკებს. ძალიან ცუდია ისიც, რომ წლიდან-წლამდე პოლიციის მიმართ ნდობა მცირდება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ.

ამან უკვე გამოიღო შედეგი. საქართველო აღარ არის ყველაზე უსაფრთხო ქვეყნების ლიდერთა შორის. აღარც თბილისი შედის ყველაზე დაცული დედაქალაქების ათეულში.

როდესაც პოლიცია დათრგუნული და დაუცველია, ის სხვას ვერ დაიცავს. პოლიციელების დიდი ნაწილი მძიმე სოციალურ მდგომარეობაშია. მათი ხელფასი არ გაზრდილა. ის ხელფასი, რასაც ისინი იღებენ, თითქმის მთლიანად სამომხმარებლო სესხების დასაფარად სჭირდებათ. გამოდის, რომ იარაღიანი პოლიციელი მთელი თვე მშიერი უნდა იყოს.

ბევრი რამეა შესაცვლელი შსს-ში. ჩვენ მზად ვართ რჩევებით და რეკომენდაციებით დავახმაროთ. რაც უფრო დაგვიანდება ცვლილებების გატარება, მით უფრო რთული იქნება სიტუაციის გამოსწორება. ადრე თუ ამის გამოსწორებას 6 თვე სჭირდებოდა, ახლა 2 წლიანი ყოველდღიური მუშაობაა საჭირო.

# „გახარია პრემიერობისთვის ემზადება“

ნათია ხურცილავა

„რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი დავით ზურაბიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპრეზიდენტო კანდიდატებზე საუბრობს.



## დავით ზურაბიშვილი: „ივანიშვილი ქვეყანას სუსის დახმარებით მართავს“



***– ბატონო დავით, „ქართული ოცნების“ წევრები აცხადებენ, რომ პრეზიდენტმა მარგველაშვილმა უკვე დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია. ზვიად კვაჭანტირაძე ლოგიკურად მიიჩნევს, რომ მათი კანდიდატი შეიძლება პრემიერი კვირიკაშვილიც იყოს და დავით სერგეენკოც. სახელისუფლო გუნდს გაუჭირდება საპრეზიდენტო კანდიდატის შერჩევა?***

– პრეზიდენტის პოსტზე სახელისუფლო კანდიდატი ვინ იქნება, მე ვერ გეტყვით, მაგრამ რაც შემიძლია 100% გარანტიით გითხრათ, არის ის, რომ ამ არჩევანს, საბოლოო დასტურს აუცილებლად ბიძინა ივანიშვილი მისცემს. ასევე, დარწმუნებული ვარ, რომ „ქართული ოცნების“ გუნდში ყველას ენდომება, რომ თავის კანდიდატი გაიყვანოს.

***– ყველა ჯგუფი თავის კანდიდატურას ლობირებს?***

– დიახ. ცხადია, რომ ყველა ეცდება თავისი კანდიდატი გაიყვანოს. „ქართული ოცნების“ გუნდის შიგნით სხვადასხვა ვარიანტები იქნება, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას ბიძინა ივანიშვილი მიიღებს. ვინ იქნება კანდიდატი სერგეენკო, კვირიკაშვილი თუ კიდევ ვინმე სხვა, ამას დრო გვიჩვენებს, ნელ-ნელა ეს გამოჩნდება. ისე, ერთიც შესაძლებელია იყოს და მეორეც. თუმცა, რამდენადაც მე ვიცნობ ბიძინა ივანიშვილს, შემიძლია გითხრათ, რომ ეს კანდიდატი ნამდვილად არ იქნება ის, ვინც დასავლეთისთვის იქნება მიუღებელი. ასევე ეს ფიგურა არ იქნება ძალიან გამორჩეული თავისი პოლიტიკური მისწრაფებებით. არაპოლიტიკური კანდიდატურა იქნება შერჩეული.

***– თქვენ მაინც ფიქრობთ, რომ ამ არჩევანს მაინც ივანიშვილი გააკეთებს?***

– არათუ ვფიქრობ, დარწმუნებული ვარ! სხვანაირად უბრალოდ გამორიცხულია. რამდენად ეძებს თვითონ, რამდენად სთავაზობს გუნდს კანდიდატებს, ამაზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ საბოლოო ჯამში დასტურს ბიძინა ივანიშვილი მისცემს „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატს.

***– თუმცა, კალაძის შემთხვევამ ცოტა განსხვავებული სურათი არ მოგვცა?***

– არა, რატომ? კალაძესაც საბოლოო დასტური ივანიშვილმა მისცა.

***– თუმცა, პროცესებში აქტიური ნამდვილად არ ყოფილა.***

– დიახ, პროცესებში ნამდვილად არ მონაწილეობდა, წინასაარჩევნო პერიოდში საერთოდ არ გამოჩენილა. ჩვენ არ ვიცით, საპრეზიდენტო არჩევნებზე გამოჩნდება კი?! შეიძლება აქაც ან იყოს ჩართული, ან არ იყოს. თუმცა, დღემდე საბოლოო გადაწყვეტილებას ასეთ საკვანძო საკითხზე ბიძინა ივანიშვილი იღებს. როდესაც საქმე გვაქვს არჩევნებთან, გამოდის, რომ მოსახლეობა ჯერ ირჩევს ბიძინა ივანიშვილს და შემდეგ იმ კანდიდატს.

***– ასეთი ვერსიაც მოვისმინე, რომ „ოცნება“ პრემიერ კვირიკაშვილს პრეზიდენტის პოსტზე არ წარადგენს, რადგან ამით ზედმეტი თავსატეხი გაუჩნდება, რადგან პრემიერის პოსტი ვაკანტური ხდება.***

– არა, ამ ვერსიას არ ვეთანხმები. ნამდვილად არ იქნება ეს თავსატეხი თუ ვინ იქნება ახალი პრემიერი. თავსატეხი არ იქნება იმიტომ, რომ პრემიერს არანაირი რეალური ძალაუფლება არა აქვს. კვირიკაშვილი რომ არ არის დღეს სახელმწიფოს რეალური ლიდერი, ეს ძალიან აშკარად ჩანს.

***– აბა ვინ მართავს პროცესებს, ხომ ვიღაცამ უნდა მართოს სახელმწიფო?***

– ივანიშვილი მართავს სუსის მეშვეობით. კვირიკაშვილზე უფრო ძლიერი ფიგურა გამოჩნდა გახარია, მაგრამ დღეს გახარია არ მართავს პროცესებს. პოლიტიკის წარმართვა რასაც ჰქვია, რასაც ქვეყანაში პროცესების მართვა ჰქვია, ამას ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით სახელმწიფო უშიშროების სამსახური წყვეტს. ამ მხრივ დიდი ცვლილება არ გვაქვს. წინა ხელისუფლების დროს იყო პრემიერ-მინისტრი, მაგალითად, გილაური, მაგრამ არაფერს არ აკეთებდა, სახელმწიფოს მართვას რაც შეეხებოდა. ამას მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი აკეთებდა. გილაურიც დაახლოებით იგივე საქმეებით იყო დაკავებული, რითაც დღეს კვირიკაშვილი არის დაკავებული, მაგალითად, ეკონომიკური საკითხებით, ინვესტორებთან ურთიერთობებით და მოლაპარაკებით. თუმცა, მაშინ საპრეზიდენტო რესპუბლიკა გვქონდა, დღეს საპარლამენტო რესპუბლიკა გვაქვს და პრემიერ-მინისტრი ქვეყნის რეალური ლიდერი უნდა იყოს და პოლიტიკის რეალური წარმმართველი. ეს არის სისტემური პრობლემა და ეს მთლად კარგი არ არის ქვეყნისთვის.

***– თქვენ გახარია ახსენეთ, სწორედ გახარიაზე უნდა გკითხოთ. როდესაც ის შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა, ვერსია იყო, რომ ის პრემიერობისთვის ემზადებოდა. შეიძლება გახარია პრემიერი გახდეს?***

– მე ამ ვერსიას სულაც არ გამოვრიცხავ. დიახ, შეიძლება ასეც იყოს. ეს ვერსია რეალურია, მას თავადაც ეტყობა, რომ ეს ამბიცია აქვს. გახარია ბიძინა ივანიშვილის პირდაპირი კადრია, უშუალოდ მან წარადგინა შსს-ს მინისტრის პოსტზე.

***– ბატონო დავით, როგორ ფიქრობთ, მარგველაშვილი მეორე ვადისთვის ემზადება?***

– შეიძლება ფიქრობდეს მეორე ვადაზე. სიმართლე გითხრათ, სულაც არ გამიკვირდება, რომ მეორე ვადით იყაროს კენჭი.

***– ალბათ დიდი ვარაუდი არ არის საჭირო, რომ ოპოზიცია ერთიან კანდიდატზე ვერ შეთანხმდება. ამ შემთხვევაში ოპოზიციის შედეგები როგორი იქნება?***

– ერთიან კანდიდატზე შეთანხმება თუ ვერ მოხდება და გასაგებია, რომ ვერ მოხდება, რადგან ამას თავისი სიძნელეები ახლავს, ეს ძალიან გაუადვილებს ხელისუფლების კანდიდატს საქმეს. ეს ვარიანტი უფრო რეალურია, ვიდრე ის, რომ ოპოზიციამ ერთიან კანდიდატზე შეძლოს შეთანხმება. თუ მოხერხდა ერთიან კანდიდატზე შეთანხმება, რომელიც სხვადასხვა ოპოზიციურ ძალებს გააერთიანებს და ის არ იქნება არც ერთ ოპოზიციურ ძალასთან ასოცირებული, არც ერთ პოლიტიკური პარტიასთან, მაგრამ ყველა პარტიისთვის იქნება მისაღები, როგორც ნაციონალების ამომრჩევლისთვის, ისე ლეიბორისტებისთვის, თავისუფალი დემოკრატებისთვის, რესპუბლიკელებისთვის და სხვა პარტიის ამომრჩევლებისთვის, ასეთი კანდიდატი თუ შეირჩა, ასეთი დიმიტრი გელოვანი თუ გამოინახა, მაშინ ასეთ კანდიდატს სერიოზული შანსი ექნება და სახელისუფლო კანდიდატს რეალურ პრობლემას შეუქმნის.

***– თქვენ ზეპარტიულ კანდიდატზე საუბრობთ?***

– დიახ, ალბათ უფრო ზეპარტიულ კანდიდატზე, რომელზეც ყველა ოპოზიციური ძალა შეთანხმდება. თუმცა, ეს ძალიან რთული იქნება. თუ ეს ვერ მოხერხდა, მაშინ არჩევნებში ოპოზიციის მონაწილეობა უფრო ამ პარტიების სარეიტინგო გამოკითხვა იქნება, ერთგვარი დათვალიერება თუ რა რეალობა შეიძლება გვქონდეს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის და არა კონკურენტუნარიანი არჩევნები და რეალური ბრძოლა გამარჯვებისთვის.

# ვინ იქნება პრეზიდენტობის კანდიდატი — დავით სერგეენკო თუ გიორგი კვირიკაშვილი?

შორენა მარსაგიშვილი

წელს საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება. „ქართული ოცნების“ კულუარებში უკვე დაიწყო საუბრები იმაზე, თუ ვინ იქნება მათი რჩეული. ამ დროისთვის დავით სერგეენკოს და გიორგი კვირიკაშვილის კანდიდატურები განიხილება. ვინ შეარჩევს პრეზიდენტობის კანდიდატს, რა შარში აღმოჩნდებიან კვირიკაშვილი და სერგეენკო, იყრის თუ არა კენჭს მეორე ვადით გიორგი მარგველაშვილი? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ ექსპერტი გია ხუხაშვილი ესაუბრება.

***— გავრცელებული ინფორმაციით, „ქართულმა ოცნებამ“ უკვე დაიწყო სამზადისი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის. ამავე ხმების თანახმად, პრეზიდენტობის კანდიდატად ისინი დავით სერგეენკოს და გიორგი კვირიკაშვილის კანდიდატურებს განიხილავენ. თქვენ რას ფიქრობთ ამ თემაზე?***

— ეს ყველაფერი უფრო ყურით მოთრეული თემა მგონია. „ქართული ოცნება“, როგორც მონოლითური პოლიტიკური ძალა, საერთოდ არ არსებობს. ამ გუნდში არიან ჯგუფები, რომლებსაც გრძელვადიანი პოლიტიკური გეგმები აქვთ, ყოველ შემთხვევაში, თავად ასე ფიქრობენ.

მე ვფიქრობ, რომ ამ ორი კანდიდატის დასახელებაში, რომელთა გვარებიც სახელდება, პოლიტიკური ლოგიკა არის. გიორგი კვირიკაშვილის კანდიდატურის დასახელებაზე ადრეც იყო საუბარი. დავით სერგეენკოც კარგად გამოიყურება პრეზიდენტის როლზე.

ჩემი აზრით, საპრეზიდენტო კანდიდატურის დასახელებასთან დაკავშირებით გუნდში სერიოზული ბრძოლა იქნება. იმ ჯგუფებს, რომლებიც ხალიჩისქვეშა ბრძოლებს აწარმოებენ, არა აქვთ იმის რესურსი, რომ თავიანთი კანდიდატის ლობირება მოახდინონ. გადაწყვეტილება სულ სხვაგან მიიღება. ამიტომაც ისინი ინტრიგებს და მამაძაღლობას დაიწყებენ.





რატომღაც მგონია, რომ იქ, სადაც გადაწყვეტილებებს ღებულობენ, პრეზიდენტის პოსტზე სულ სხვა კანდიდატურას შეარჩევენ.

***— აბა რატომ გაიჟღერა სერგეენკოს და კვირიკაშვილის გვარებმა?***

— არ გამოვრიცხავ, რომ ვიღაცამ ეს ბოროტი განზრახვით გააკეთა — უნდა ორივე კანდიდატი ჩამოაშოროს ბრძოლას და ამით საკუთარ ფავორიტს გაუხსნას გზა. კანდიდატურის დასახელებამდე ჯერ დიდი დროა.

***— ამბობთ, რომ სულ სხვა პიროვნება დასახელდება „ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატად. იცით მისი ვინაობა თუ ეს თქვენი ვარაუდია?***

— არავის ვინაობა არ ვიცი. ან რა მნიშვნელობა აქვს სახელს და გვარს. ვინც არ უნდა დაასახელონ პრეზიდენტის პოსტზე, ის იქნება „ქართული ოცნების“ კანდიდატი.

ამ პარტიამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტი დაეკნინებინა. პარლამენტის თავმჯდომარე ახლაც კი იმაზე საუბრობს, რომ პრეზიდენტი თურმე მეცნიერი უნდა იყოს. ამ მნიშვნელოვანი ინსტიტუტის აბსოლუტური გაბაიბურება მიდის.

აქედან გამომდინარე რა აზრი აქვს, ვინ იქნება პრეზიდენტობის კანდიდატი. „ქართულ ოცნებაში“ ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. მათთვის მთავარია, რომ პრეზიდენტი აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მორჩილი იყოს, რომელსაც დავალებებს ტელეფონით მისცემენ.

„ქართულ ოცნებას“ სახელმწიფო მართვის ასეთი მოდელი აქვს და კიდევ ერთხელ ვამბობ, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება კანდიდატი. მთავარია მორჩილება.

***— თავიდან „ოცნებას“ მარგველაშვილიც მორჩილი ეგონა. თავადაც ამბობდა, პლასტელინის ვარ და რა ფორმასაც მომცემთ, იმ ფორმას მივიღებო, მაგრამ მერე ძალა გამოაჩინა.***

— მარგველაშვილთან დაკავშირებით სხვა სიტუაციაა. ის „ოცნებისთვის“ საკმაოდ კომფორტული იყო და მმართველ გუნდს პრობლემებს არ უქმნიდა. მას ხელისუფლებასთან დიდი ოპონირების სურვილი არ ჰქონია. „ქართულმა ოცნებამ“ ის ღირსების შელახვის ზღვარზე დააყენა — მმართველმა გუნდმა მისგან უსიტყვო მორჩილება მოითხოვა. რაზეც ადამიანი, თუ ოდნავი ღირსება და თავმოყვარეობა გაქვს, ხელს ვერ მოაწერ. ის იძულებული გახდა, „ქართულ ოცნებას“ დაპირისპირებოდა.

## გია ხუხაშვილი: „ოცნებაში“ ინტრიგები და მამაძაღლობა დაიწყება“

***— მიდის საუბარი, რომ მარგველაშვილმა შესაძლოა მეორე ვადით იყაროს კენჭი პრეზიდენტის პოსტზე. ამას არც მოქმედი პრეზიდენტი არ გამორიცხავს. რა შანსები ექნება მას?***

— ის იმ ტიპის ადამიანია, ვისთვისაც ძალაუფლება და ხელისუფლება ტვირთი უფროა, ვიდრე რაიმე პრივილეგია. ის ოქტომბერში ბევრად უფრო კომფორტულად იგრძნობს თავს, როცა მისი პოლიტიკური კარიერა დასრულდება. ის ალბათ საზოგადოებრივ საქმიანობას დაუბრუნდება.

პოლიტიკურმა პროცესებმა ის შეიძლება იძულებული გახადოს და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა გადააწყვეტინოს. რასაც მე არ ვისურვებდი. იმისათვის, რომ პოლიტიკაში იყო, უნდა გქონდეს ამის სურვილი. გიორგი მარგველაშვილს ამბიცია არა აქვს. შესაბამისად, ამ მდინარეში მეორედ შესასვლელად ის ძალიან მეცოდება.

***— მიდის საუბრები იმაზეც, რომ „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი შესაძლოა ირაკლი ღარიბაშვილი იყოს. ამაზე რას ფიქრობთ?***

— არაფერი გამორიცხული არაა, მაგრამ მას ასაკმაც უნდა შეუწყოს



ხელი. „ოცნებამ“ კონსტიტუციაში შეიტანა ცვლილება და დააწესა ასაკობრივი ცენზი. ღარიბაშვილი ჯერ არ არის 40 წლის.

თუ ეს ცენზი გაუქმდება, არ გამოვრიცხავ, რომ „ოცნების“ რომელიღაც ჯგუფი შეეცადოს მის ლობირებას. წმინდა ადამიანური თვალსაზრისით, არც მას არ ვუსურვებ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას.

***— მას რატომ არ უსურვებთ?***

— ადამიანს თუ იმის სიამოვნება ერგო, რომ სისტემა დატოვოს, იქ უკან აღარ უნდა დაბრუნდეს. დამერწმუნეთ, ნებისმიერი პოზიციის დაკავება შემეძლო, მაგრამ ამას გავემიჯნე და საკუთარი თავისუფლება ვიყიდე, რომელიც ბევრად მეტი ღირს, ვიდრე ნებისმიერი თანამდებობა.

***— თქვენ ზემოთ ირაკლი კობახიძე ახსენეთ, რომელსაც პრეზიდენტად მეცნიერი უნდა. ეს მისი ვარაუდია თუ მართლა მეცნიერთა წრეში მიდის კანდიდატურის ძიება?***

— „ოცნებისთვის“ მთავარია, მორჩილი ადამიანი იპოვონ. რაც შეეხება მეცნიერს, ალბათ კანდიდატს იმ მეცნიერებში ეძებენ, რომლებიც საპატრიარქოსთან ერთად ნარკოპოლიტიკას განიხილავენ.

# „ოცნება“ თოხის და ბარის რევოლუციას მიიღებს“

შორენა მარსაგიშვილი

ისნის მაჟორიტარი დეპუტატი, აღორძინების ერთ-ერთი ყოფილი ლიდერი დავით ჭიჭინაძე საყოველთაო მრისხანების ობიექტი გახდა. ერი მან გარემოს დაცვის საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე გაკეთებული განცხადების გამო განარისხა.

კომიტეტის სხდომაზე კანონმდებლები სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს უსმენდნენ. სხდომაზე ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებზე იყო საუბარი. დეპუტატების ნაწილი აცხადებდა, რომ გლეხებს მავნებელთან ბრძოლის წესები უნდა ასწავლონ.

რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება დეპუტატი დავით ჭიჭინაძე და ასეთი არგუმენტი მოჰყავს:

— სწავლა რომ უყვარდეს, ის გლეხი არ იქნებოდა რა, დამიჯერეთ, სხვა ადგილს მიაგნებდა ამ ცხოვრებაში.

თავად ჭიჭინაძეს ბიზნესსა და პოლიტიკაში აქვს ადგილი მიგნებული და თავს საკმაოდ ლაღად გრძნობს.

მის განცხადებას სოციალურ ქსელში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. გამოქვეყნდა მისი ბიოგრაფია, სადაც წერია, რომ დეპუტატს „გეპეიში“ ჩაუბარებია, მაგრამ ვერ დაუმთავრებია.

დავით ჭიჭინაძის განცხადებით, შეურაცხყოფილები არიან ლეიბორისტები. პარტიის წევრი ბეჟან ნათელაშვილი „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ ამ განცხადებაზე ძალიან მწვავე პროტესტი იქნება. ის თოხების და ბარების რევოლუციასაც არ გამორიცხავს.

**ბეჟან ნათელაშვილი:**

— რა შეფასება უნდა გაუკეთოს ადამიანმა ამ განცხადებას. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ პარლამენტში არის ნახირი, რომელიც ქართველ ხალხს შეურაცხყოფას აყენებს. იმედი მაქვს, ჩვენი პატიოსანი პირუტყვები ამ შედარების გამო არ მომემდურებიან.

სხვების მსგავსად მეც ძალიან გავბრაზდი ვინმე ჭიჭინაძის განცხადების გამო, მაგრამ მერე დავფიქრდი და ერთი მხრივ ეს კარგიც არის.

***— კარგი რატომ არის?***





## ბეჟან ნათელაშვილი: „დავით ჭიჭინაძე „ქართული ოცნების“ სახეა“

— რაც მეტ სისულელეს იტყვიან, საკუთარ სახეს უკეთესად წარმოაჩენენ. საზოგადოება დაინახავს თუ ვინ მართავს ქვეყანას.

***— ხალხმა ჯერ არ იცის რას წარმოადგენს „ქართული ოცნება“?***

— როგორ არ იცის, მაგრამ ახლა საბოლოოდ დარწმუნდნენ თუ რას წარმოადგენენ ესენი. ისე გათავხედდნენ, რომ გლეხების შეურაცხყოფაც კი დაიწყეს. ამ ფულის მონებმა ისიც არ იციან თუ რას ნიშნავს გლეხი.

ამ უსინდისოების გასაგონად მინდა განვმარტო, რომ გლეხი მიწაზე მომუშავე ადამიანს ჰქვია.

***— მიწაზე რომ მუშაობს ადამიანი, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ის განათლებული არაა.***

— რა თქმა უნდა. გაუნათლებელი და უწიგნური ვინაა, ეს ვილაც ჭიჭინაძის განცხადებიდანაც გამოჩნდა. როგორც სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია, ამ ბატონს თავადაც არ ჰქონია ბრწყინვალე განათლება. ამბობენ, გეპეი ვერ დაამთავრაო.

„ქართულ ოცნებაში“ ისეთი ხალხია, სულ ოქსფორდი და კემბრიჯი რომ ჰქონდეთ დამთავრებული, მაინც ვერ მიაღწევენ გლეხების დონემდე. ხელისუფლებაში მოკალათებულმა ფულის ტომრებმა ისიც კი არ იციან, რომ ქვეყანა მაშინ არის ძლიერი, როცა გლეხია წელგამართული. გლეხი ყოველთვის სამშობლოს სადარაჯოზე იდგა, ესენი კი ქვეყანას ყიდიან.

არაერთხელ ვთქვით ლეიბორისტებმა და ახლაც ვიტყვი, რომ დღეს ქვეყანას კოლექტიური მეჯღანუაშვილი მართავს. მათ მხოლოდ ერთი მიმართულებით აქვთ განათლება მიღებული — როგორ მოიპარონ ფული. ეს საქმე კარგად გამოსდით.

„ოცნებას“ ისედაც ბევრი რამე ვაპატიეთ, გლეხი კაცის შეურაცხყოფა არ შეიძლება. ჩვენ ამის პატიებას არ ვაპირებთ.

***— საზოგადოების ერთი ნაწილი ამბობს, რომ საპარლამენტო უმრავლესობამ დავით ჭიჭინაძეს ბოდიში უნდა მოახდევინოს. ამაზე რას ფიქრობთ?***

— ვის რაში სჭირდება ამათი ბოდიში? ბოდიშს რომ რაიმე ეფექტი ჰქონდეს, ბიძინა ივანიშვილის კუთვნილ საავთიაქო ქსელში გაიყიდებოდა. დავით ჭიჭინაძე არის „ოცნების“ სახე. ხალხის მიმართ „ოცნებას“ ისეთივე აგდებული დამოკიდებულება აქვს, როგორც მას. ასე რომ, მას ბოდიშის მოხდას არავინ მოსთხოვს.

მე ისევ ხალხის იმედი მაქვს. ხალხი ძალიან გაბრაზებულია. ამ განცხადების შემდეგ სოციალურ ქსელში სერიოზული გამოხმაურება მოჰყვა.

სოციალური ქსელებით დაწყებული პროტესტით რამდენიმე ქვეყანაში უკვე შეიცვალა ხელისუფლება. საქართველოში ისე მიდის საქმე, შეიძლება ამათაც გამოჰკრან რევოლუციას ხელი.

***— ველოდოთ გლეხების რევოლუციას?***

— ასე თუ გაგრძელდა, გლეხობა თოხს და ბარს აიღებს ხელში, მიაკითხავს პარლამენტს, მთავრობის ადმინისტრაციას, ტერიტორიულ ერთეულებს და ქვეყნის გამყიდველებს საკადრის პასუხს გასცემს — ხელისუფლება თოხის და ბარის რევოლუციას მიიღებს.

## გახარია წულუკიანს უწყებათშორისი კომისიის მოწვევას სთხოვს

შინაგან საქმეთა მინისტრი იუსტიციის მინისტრს უწყებათშორისი კომისიის მოწვევას სთხოვს. გიორგი გახარიამ აღნიშნული განცხადება მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გააკეთა. შს მინისტრის თქმით, უწყებათშორისი კომისია მუშაობდა ნარკოპოლიტიკის მიმართულებით.

— მინდა ვისარგებლო ამ შემთხვევით და იუსტიციის მინისტრს, ქალბატონ თეა წულუკიანს მოვუწოდო და ვთხოვო მას, უწყებათშორისი კომისია არსებობდა ძალზე კარგი, რომელიც ეფექტურად მუშაობდა ნარკოპოლიტიკის მიმართულებით. რატომღაც გარკვეულ პერიოდში მისი აქტიურობა ცოტა შენელდა და ვფიქრობ, რომ ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმატი, სადაც შესაძლებელი იქნება სერიოზული პროგრესის მიღწევა და მინდა ვთხოვო მას, როგორც შს მინისტრმა, რომ ეს კომისია რაც შეიძლება მალე მოვიწვიოთ, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

# „უკვე მეხუთედ მომივიდა მესიჯი, რომლითაც ნარკოტიკის ყიდვას მთავაზობენ!“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე აცხადებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მარიხუანის დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებმა დიდი ოდენობით გრანტები მიიღეს.

## დიმიტრი ლორთქიფანიძე ნარკოპოლიტიკის კანონპროექტის წინააღმდეგია





***– მარიხუანის დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ საზოგადოების ნაწილი გააქტიურდა. პარლამენტი განიხილავს კანონპროექტს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან შესაბამისობაში მოსაყვანად. თქვენი აზრი როგორია ამასთან დაკავშირებით?***

– საკონსტიტუციო სასამართლომ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და მის სარეზოლუციო ნაწილში ჩაწერა, რომ ადამიანის მიერ მარიხუანის მოხმარება მისი პიროვნული განვითარებისა და თავისუფლების კონსტიტუციით მონიჭებული უფლებაა და სწორედ ამ უფლებიდან გამომდინარე ანიჭებს მარიხუანის მოხმარებას დეკრიმინალიზაციას, რაც თავის მხრივ უპრეცედენტო ფაქტია. მარიხუანაში შემავალი ფსიქოაქტიური ნივთიერება ჰიდროტეტროკარაბინოლი გახლავთ ფსიქოაქტიური ნივთიერებების პირველ ჯგუფში შემავალი ძალიან ძლიერი ნარკოტიკული საშუალება, ჰალუცინოგენი, რომელიც გამოუსწორებელ შედეგებს იძლევა. ხანგრძლივვადიანი მოხმარების შემთხვევაში, უამრავ გართულებას იწვევს. განსაკუთრებით ფსიქიკური ჯანმრთელობის მოშლის თვალსაზრისით.

***– ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილება რატომ უნდა მიეღო? საიდან გამომდინარეობდა მათი გადაწყვეტილება?***

– ქვეყნის ნარკოტიზაციის პოლიტიკური კამპანია შემთხვევით არ დაწყებულა ნეოლიბერალური პოლიტიკური ძალების მხრიდან, ნაცმოძრაობის გამონადენებისაგან. ჯერ მარიხუანა დათესეს, შემდეგ წამოიწყეს კამპანია: ჩემი ორგანიზმი ჩემია და რასაც მინდა, იმას ვუზამო, შემდეგ დააკავეს ერთ-ერთი პირი, ვინმე ბექა, რომელსაც აღმოუჩინეს დიდი ოდენობით მარიხუანა. ამიტომ დაიწყეს კამპანია მისი გათავისუფლების მიზნით მარიხუანის დეკრიმინალიზაციის თაობაზე და საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს. სწორედ მაშინ მიიღო საკონსტიტუციო სასამართლომ ეს გადაწყვეტილება.

ამის შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებმა მიიღეს ძალიან დიდი გრანტები. სოროსის ფონდის მიერ 2015-17 წლებში დაფინანსდა დაახლოებით 230 ათასი დოლარის ოდენობის პროექტი. მათ შორის, „თეთრმა ხმაურმა“ მიიღო დაახლოებით 24 ათასი დოლარი, „ალტერნატივა ჯორჯიამ“ – 25 ათასი დოლარი, ორგანიზაცია „ეკა კრიმინალი არ არის“ საინიციატივო ჯგუფმა მიიღო 39.500 დოლარი.

***– სოროსის ფონდი რატომ აფინანსებს მაინცდამაინც მარიხუანის დეკრიმინალიზაციისა თუ ლეგალიზაციისთვის მებრძოლ ორგანიზაციებს?***

– მათი ამოცანაა ყველა ნარკოტიკული საშუალების არა თუ დეკრიმინალიზაცია, არამედ პირდაპირი ფაქტობრივი ლეგალიზაცია.

***– ადამიანებს ტელეფონით მისდით მესიჯები და ნარკოტიკების შეძენას სთავაზობენ.***

– მე უკვე მეხუთედ მომივიდა ამ შინაარსის მესიჯი და მთავაზობენ სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალების შეძენას გარანტიით, რომ ხარისხი დაცული იქნება. უნდათ მთელი საქართველოს კაზანტიპიზაცია. კაზანტიპი, რომელიც იყო ანაკლიაში გასამართი ღონისძიება, ელექტრონული მუსიკის ფესტივალის სახით, სადაც, ფაქტობრივად, ნარკოტიკული საშუალებების თავისუფალი მიმოქცევის გარანტია იყო (ეს იყო კაზანტიპის მთავარი შანსი), აქციეს ლაბორატორიულ მოდელად.

ეს ლაბორატორიული მოდელი გადმოიტანეს მთელ ქვეყანაზე, სადაც პირადი მოხმარების გაზრდით, ნებისმიერი ნარკოტიკული საშუალების ოთხჯერადი და ხუთჯერადი დღიური მოხმარების ფარგლებში შეიძლება ადამიანმა ატაროს ისე, რომ მას პოლიცია ვერ შეეხება.

ვერ მოხდება მისი დაკავება, პასუხისგებაში მიცემა, ვინაიდან თუ აქამდე ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვა-გადაზიდვა-გასაღება-დამზადება შესაბამისად ისჯებოდა (მძიმე და ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული) საკმაოდ მაღალი სანქციებით (ნარკოტიკული საშუალების გასაღება ისჯებოდა 8-20 წლამდე, ან უვადო პატიმრობის თანამდევი მუხლით). დღეს დღეობით პირადი მოხმარების დოზის ჯიბით ტარება გულისხმობს ოთხზე და ხუთზე ერთჯერადი დოზის ოდენობის ნარკოტიკის თან ქონას. ამ ოდენობის ნარკოტიკი ადამიანმა ჯიბით რომ ატაროს, ამისთვის არავითარი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ გეკისრება. ასეთი ნივთიერების შეძენა, გავრცელება, დამზადება, გადაზიდვა წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით ისჯება მხოლოდ 100 ლარიანი ჯარიმით. ეს საზოგადოებამ არ იცის.

***– თუმცა, მაინც ხომ დანაშაულია?***

– არა, ეს ითვლება მხოლოდ ადმინისტრაციულ გადაცდომად და აღარ არის სისხლის სამართლის დანაშაული. პირადი მოხმარების დოზის ჯიბით ტარება აღარ არის სისხლის სამართლის დანაშაული.

***– ნარკოტიკის შეძენა-შენახვა-გასაღება ხომ არის დანაშაული?***

– დიახ, განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნარკოტიკის გასაღება, რომელიც დღეს მოქმედი კანონით ისჯება 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით, წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით (რომელიც ბატონმა ზოიძემ, კობერიძემ, ფრუიძემ, ქაცარავამ და ცქიტიშვილმა წარმოადგინეს), ამ დანაშაულისთვის სასჯელის ვადა 3-დან 8 წალმდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ეს არის ნარკობარიგებზე მორგებული კანონი.

***– მაინც რატომ არის ნარკობარიგებზე მორგებული კანონპროექტი?***

– უნდათ საქართველო აქციონ ნარკობარიგებზე მორგებულ ქვეყნად, როგორიც არის მაროკო, სადაც ყოველწლიურად 11 მილიონი ადამიანი მხოლოდ იმისთვის ჩადის, რომ იკაიფოს, ნარკოტიკული თრობა მიიღოს. რაც უფრო ლეგალიზებული და დეკრიმინალიზებულია ნარკოტიკებთან ურთიერთობა, მით უფრო დიდია ნარკოტურისტების რაოდენობა. ქვეყანაში ისედაც 330 ათასი ნარკომანი და 56 ათასი პრობლემური ნარკომანი გვყავს. აღნიშნული კანონპროექტის მიღების შემთხვევაში ქვეყნის ყოველი მეორე მოქალაქე იქნება ნარკოტიკული თრობის მსხვერპლი. ეს არის ღალატი როგორც ქვეყნის, ისე ჩვენი მომავალი თაობების წინააღმდეგ. აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა და კანონპროექტი გენოციდის ფაქტის წინაშე გვაყენებს.

***– თუ დიდი ოდენობით ნარკოტიკის გამსაღებლისგან ანუ დამნაშავისგან ნარკომომხმარებელი ნარკოტიკს შეიძენს, ეს დანაშაული არ იქნება?***

– თუ იმ კანონპროექტს პარლამენტი მიიღებს, აღარ იქნება დანაშაული. პირადი მოხმარების მიზნით შეძენილი ნარკოტიკი აღარ არის დანაშაული გამომდინარე იქიდან, რომ ისჯება მხოლოდ ნარკოტიკის გამყიდველი.

***– გამყიდველი კი ისჯება, მაგრამ მყიდველი, რომელიც დამნაშავე პირისაგან პირადი მოხმარებისთვის შეიძენს ნარკოტიკს, ვალდებული არ არის, დამნაშავის შესახებ შს ორგანოებს შეატყობინოს?***

– შს ორგანოებისთვის შეტყობინება არ არის ვალდებული. თუ პირი შეიძენს ერთი მოხმარების დოზას, ეს ნიშნავს, რომ პირმა პირადი მოხმარებისთვის შეიძინა და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ ეკისრება. ამიტომ შს სამინისტროს კრიმინალური პოლიციისთვის შეტყობინების ვალდებულება აღარ გააჩნიათ, რადგან არ აქვთ ჩადენილი სისხლის სამართლის კოდექსით ჩადენილი დანაშაული.

***– ეს შეუთავსებლობა არ იქნება კანონში? ფაქტობრივად, დანაშაულის იგნორირება არ მოხდება?***

– მეც ამას ვამბობ. ნარკოგამსაღებელი როგორ უნდა დააკავოს კრიმინალურმა პოლიციამ, თუკი პირი ნარკოტიკის შეძენისთვის აღარ ეძლევა სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში.

***– შეიძლება მომხმარებელი არ დაისაჯოს, მაგრამ ნარკოგამსაღებელზე და ახალგაზრდების მომწამლავზე ინფორმაციის პოლიციისთვის შეტყობინების ვალდებულება მაინც ხომ უნდა ჰქონდეს?***

– როგორ უნდა ჰქონდეს ვალდებულება, როდესაც მსგავსი ტიპის ადმინისტრაციული გადაცდომა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშია გადატანილი და სისხლის სამართლებრივად აღარ ისჯება. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა გულისხმობს თანამშრომლობის აუცილებლობას, თუკი მას უნდა, რომ შემამსუბუქებელი გარემოებით მოხდეს სასჯელის განსაზღვრა მსუბუქ ფორმებში.

***– თქვენი აზრით, უნდა დაისაჯონ ის ადამიანები, რომლებიც ნარკოტიკს პირადი მოხმარებისთვის ყიდულობენ? სამღვდელოება და საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რომელშიც თქვენც მოიაზრებით, მოითხოვს ამ კანონპროექტის შეჩერებას.***

– ამ კანონპროექტის შეჩერებას ნამდვილად მოვითხოვთ. შეჩერების მოთხოვნის მთავარი მიზეზია უმთავრესი საკითხი, რომელიც უკავშირდება ნარკომომხმარებლის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირის მკურნალობას. ამ საკითხზე კანონპროექტში, საერთოდ, არაფერია ნათქვამი გარდა იმისა, რომ ოდესღაც შეიძლება სარეაბილიტაციო ცენტრები შექმნან, თუმცა, ამაზე არც ერთ კანონში ჩანაწერი არ კეთდება. ჩვენთვის მხოლოდ სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნა არ არის გამოსავალი.

***– რატომ არ არის გამოსავალი?***

– პირს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ნარკოტიკს მოიხმარს და ფსიქიკურად დაავადებულია, სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისკენ მიდრეკილება აქვს. ხშირ შემთხვევაში ეს არის ძალადობრივი დანაშაული, რომელსაც პირი ფსიქოზურ მდგომარეობაში ჩადის. ასეთი მდგომარეობიდან გამომდინარე, ზარალდებიან ოჯახის წევრები – მშობლები, მეუღლე, შვილები. ამიტომ ჩვენი ამოცანაა, ნარკოჰუმანიზმი განვიხილოთ არა როგორც მხოლოდ მომხმარებლის მიმართ ჰუმანური მოპყრობა, არამედ პოტენციური დაზარალებულების მიმართ მოპყრობა, რომლებიც ამ პირის მიერ ნარკოტიკის მოხმარების შედეგად ზარალდებიან.

ამიტომ უნდა გავაჩინოთ იძულებითი მკურნალობის ცნება. არანებაყოფლობითი მკურნალობა გულისხმობს სარეაბილიტაციო ცენტრების აუცილებელ შექმნას, რომელიც დაკავშირებული იქნება, გარკვეულწილად, თავისუფლების შეზღუდვასთან, მაგრამ დაკავშირებული იქნება შრომით თერაპიასთან და სამკურნალო-შრომით პროფილაქტიკასთან. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. თუმცა, კანონპროექტის ინიციატორებს იძულებითი მკურნალობისა და სამკურნალო შრომითი თერაპიის გაგონებაც არ სურთ, რასაც მხარს დაუჭერს ნებისმიერი ჯანსაღი ადამიანი და მოქალაქე.

საქართველოს საპატრიარქო პირდაპირ აცხადებს, რა პრევენციული ღონისძიებაა დასახული, რომ მომავალში ნარკოტიკული საშუალებების გავრცელება არ მოხდეს, ანუ ნარკომომხმარებლების რაოდენობის ზრდა. წარმოდგენილი კანონპროექტის მიღების შემთხვევაში ნარკოტიკების მიმღებთა რიცხვი გაიზრდება, გამრავლდება და ქვეყანაში გვექნება ნარკომოხმარების ბუმი.

***– ხომ არ დაგვიანდა ნარკოტიკების მოხმარების მოწინააღმდეგე ძალების მხრიდან აქტიურობა? წელიწადზე მეტია, მარიხუანის ლეგალიზაციის მომხრეები აქტიურობენ.***

– არ დაგვიანდა. თუ ნარკოტიკების მოხმარების დეკრიმინალიზაციის მომხრეები აქტიურობენ გარკვეული გრანტების ხარჯზე, ჩვენ ყოველგვარი დაფინანსების გარეშე, შიშველი ენთუზიაზმით ვებრძვით მათ მოსყიდულ პოზიციას. სოროსის ფონდი არის ქვეყნის ნარკოტიზაციის დამფინანსებელი.

***– ნარკომოხმარების დეკრიმინალიზაციის პროპაგანდისტები ძალიან ხშირად თავისი პოზიციების გასამყარებლად იყენებენ იმ ფაქტს, რომ სააკაშვილის დროს ნარკომომხმარებლები ციხეში დიდი ხნით აღმოჩნდნენ.***

– სააკაშვილის დროს რაც ხდებოდა და ვინც აკეთებდა ამას, სწორედ ისინი დგანან დღეს ნარკოპროპაგანდის უკან. დღეს ლაპარაკი არ არის იმაზე, რომ ნარკომომხმარებელი, რომელიც დანაშაულს ჩადის, ციხეში იჯდეს, ჩვენ ვსაუბრობთ ალტერნატიულ სასჯელზე, რომელიც მაინცდამაინც ციხეს არ გულისხმობს. არის სასარგებლო შრომა, უნდა იყოს არანებაყოფლობითი მკურნალობის სპეციალიზებული დაწესებულებები, როგორც პენიტენციურ სისტემაში, ისე მის გარეთ. ამას სჭირდება კომპლექსური მიდგომა.

საპატრიარქო ხელისუფლებას მოუწოდებს, ნუ იჩქარებს ამ კანონპროექტის მიღებას, მოეწყოს დამატებით ყველა მხარის მონაწილეობით საკითხის კარგად განსჯა და გადაწყვეტილების მიღება.

## გზების მოვლა-შენახვის და რეაბილიტაციის ეფექტიანობას აუდიტის სამსახური შეისწავლის



საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ განხორციელებული გზების მოვლა-შენახვას და რეაბილიტაციის ეფექტიანობას აუდიტის სამსახური შეისწავლის. როგორც აუდიტის სამსახურის ვებ-გვერდზეა აღნიშნული, აუდიტის ჩატარების მოტივაცია არის არაეფექტიანი სამუშაოების განხორციელების რისკი.

– საავტომობლო გზების დეპარტამენტის ბალანსზე ირიცხება 1,520 კმ საერთაშორისო მნიშვნელობის (13 დასახელება) და 5,371 კმ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (205 დასახელება) გზები.

გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა წარმოადგენს მნიშვნელოვან საჭიროებას ქვეყანაში ეფექტიანი საგზაო გამტარუნარიანობის არსებობისათვის.

გზების შესაძლო არასათანადო მოვლა-შენახვის პირობებში, წარმოიშობა სარეაბილიტაციო სამუშაოების ხშირი საჭიროება.

ასევე არსებობს არაეფექტიანი სამუშაოების განხორციელების რისკი, რამაც, შესაძლოა, გამოიწვიოს როგორც გასაწევი ხარჯების ზრდა, ასევე გზების სახარბიელო მდგომარეობის შეზღუდვა მრავალწლიან პერიოდზე გათვლით (დაფინანსების დიდი მოცულობიდან გამომდინარე, აღნიშნული პროექტის ფარგლებში ასევე შესაძლებელია ჩატარდეს შესაბამისობის აუდიტიც სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით), – აღნიშნულია აუდიტის სამსახურის აუდიტორული საქმიანობის 2018 წლის გეგმაში.

# „სადისტრიბუციო მანქანების გადაადგილებაზე შეზღუდვების დაწესების შემდეგ, შესაძლოა, პატარა სუპერმარკეტები დაიხუროს“



თბილისში სადისტრიბუციო მანქანების გადაადგილებაზე შეზღუდვების დაწესებამდე დედაქალაქის მერია და სფეროს წარმომადგენლები შეხვედრებს მართავენ. შეზღუდვის ინიციატორი ქალაქის მერი კახა კალაძეა. უკვე გაიმართა რამდენიმე შეხვედრა სადისტრიბუციო კომპანიების წარმომადგენლებსა და ადგილობრივ მთავრობას შორის.

როგორც დედაქალაქის მერის მოადგილემ მაია ბითაძემ შეხვედრის დასრულების შემდეგ აღნიშნა, სადისტრიბუციო კომპანიები იმ ახალი რეგულაციებისათვის უნდა მოემზადონ, რომელიც სადისტრიბუციო მანქანების ღამის საათებში მოძრაობას შეეხება:

– გავაგრძელებთ კომპანიებთან აქტიურ მუშაობას, რათა სადისტრიბუციო მანქანების ღამის განმავლობაში მოძრაობის გრაფიკმა მინიმალურად შეაფერხოს ბიზნესი და მინიმალური პრობლემები წარმოშვას, ზოგადად, ქალაქში მოძრაობასთან დაკავშირებით, – განაცხადა მაია ბითაძემ.

დისტრიბუტორთა ასოციაციის დამფუძნებელი ივა ჭყონია „კომერსანტთან“ საუბრისას განმარტავს, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა დადგინდეს, სადისტრიბუციო მანქანები რამდენად ქმნიან საცობს.

– ჩემი აზრით, მსჯელობის საგანია, ეს საცობებს რამდენად შეამცირებს. სადისტრიბუციო მანქანების 90%-ს მოძრაობა უწევს იმ პერიოდში, როდესაც საცობები ნაკლებია – 10 საათიდან 17 საათამდე. ჩვენ მერიას წარვუდგინეთ მოსაზრება, თუ რა პრობლემები შეიძლება მოჰყვეს ცვლილებას, რაც მანქანების ღამით მოძრაობას ითვალისწინებს. მათ მოისმინეს პრობლემები. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, შემოსავლების სამსახურთან ერთად, გაივლიან ყველა საჭირო საკითხს და გადაწყვეტილებას ისე მიიღებენ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სწორი აღსრულება მოხდეს. სადისტრიბუციო კომპანიები აქტიურად ვართ ჩართული, რადგან გვინდა, რომ ბიზნესმა ამით რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგი ნახოს, – აცხადებს ივა ჭყონია.

მისი თქმით, სადისტრიბუციო მანქანების ღამით მოძრაობა ბიზნესს უარყოფით შედეგებს მოუტანს, რამაც შეიძლება საცალო მაღაზიების დახურვა გამოიწვიოს.

– ყველა რადიკალური ცვლილება თავიდან უმტკივნეულოდ არ ხორციელდება. ერთი მხრივ, თუ სარგებელი მოაქვს, მეორე მხრივ, რაღაც მაინც ზიანდება. თუმცა კარგია, რომ კონსულტაციები იმართება და ყველა მოსალოდნელ რისკს განვიხილავთ. ეს შეზღუდვა ბიზნესისთვის ცუდი იქნება, რადგან მოუწევს ღამის რეჟიმში გადაწყობა. აქ პატარა სუპერმარკეტებზეც არის საუბარი. მათ საკმაოდ სერიოზული პრობლემები შეიძლება შეექმნათ. შეიძლება მაღაზიები დაიხუროს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ ამ ცვლილების გამო, წვრილი და საშუალო ბიზნესი პრობლემის წინაშე არ დადგეს, – აღნიშნავს ჭყონია.

ამასთან, მისივე განმარტებით, შეხვედრაზე კონკრეტულ ქუჩებზე საუბარი არ ყოფილა:

– შეზღუდვის მიზანი ის არის, რომ ყველა სადისტრიბუციო მანქანამ, ყველა ქუჩაზე ღამით იმოძრაოს. კარგია, რომ ზოგადად დედაქალაქის მერიას აქვს დიდი პროექტები თბილისში საცობების განტვირთვის მიზნით. თუმცა სადისტრიბუციო მანქანების შემთხვევაში, მეტი დისკუსია და კვლევაა საჭირო, როგორ გადაწყდეს, – აცხადებს დისტრიბუტორთა ასოციაციის დამფუძნებელი.

# თბილისში სამშენებლო ნებართვების გაცემის საბჭოს საქმიანობა არ არის გამჭვირვალე



თბილისში უნებართვო მშენებლობაზე ჯარიმა არაგონივრულად დაბალია და ასევე აღსრულება არ ხდება, – აღნიშნულია აუდიტის სამსახურის აუდიტორული საქმიანობის 2018 წლის გეგმაში. შესაბამისად, როგორც გეგმაშია აღნიშნული, წელს უწყება თბილისის მერიის მიერ გაცემული სამშენებლო ნებართვების შესახებ ეფექტიანობის აუდიტს ჩაატარებს.

აუდიტის სამსახური აუდიტის ჩატარების მოტივაციად ასახელებს იმას, რომ თბილისში მშენებლობები მიმდინარეობს სტიქიურად. ხშირია ფუნქციური ზონების ცვლილების შემთხვევები, ასევე სამშენებლო კოეფიციენტების ცვლილებები სამშენებლო ნებართვების გაცემის შემდგომ:

❖ სამშენებლო ნებართვების გაცემის საბჭოს საქმიანობა არ არის გამჭვირვალე.

❖ პროექტის დამტკიცებისათვის საჭირო კრიტერიუმების ერთგვაროვნება უზრუნველყოფილი არ არის.

❖ სამშენებლო ე.წ. ზონალური დაყოფა და მათი კომუნიკაცია დარგისათვის, თუ სად რისი აშენებაა შესაძლებელი, ანუ გენგეგმის შესაბამისად;

❖ გენერალური გეგმის მომზადებასთან დაკავშირებული ხარჯები – არაეკონომიურობა;

❖ მერიის შიდა სტრუქტურულ ერთეულებს შორის კოორდინაციის ნაკლებობა (გეოლოგია, ზედამხედველობა, არქიტექტურა);

❖ დამტკიცებულ პროექტებში შეტანილი ცვლილებები არაგამჭვირვალეა, ბანერი და საჯარო რაც არის, იმას არ შეესაბამება.

❖ სამშენებლო პროცესის რეგულირება – როდის, როგორ, უსაფრთხოების ზომებს თუ იცავენ.

❖ მშენებლობის პროცესის დაწყება ნებართვის გარეშე, რადგან უნებართვო მშენებლობაზე ჯარიმა არაგონივრულად დაბალია და ასევე აღსრულება არ ხდება, – წერია აუდიტის სამსახურის აუდიტორული საქმიანობის 2018 წლის გეგმაში.

# თბილისის მერის მოადგილე ბაგა-ბაღებში მენიუს ცვლილებაზე




– დედაქალაქის მერია, ბაღების მართვის სააგენტო ყურადღებას ვამახვილებთ ხარისხიანი პროდუქტის მიწოდებაზე და რეაგირება გვექნება ნებისმიერი სახის მცირე ზომის გადაცდომაზეც. ჩვენთვის მთავარია ხარისხი და გადაცდომას და ხარვეზს ჩვენ არ შევეგუებით, – ამის შესახებ თბილისის მერის მოადგილემ, ირაკლი ბენდელიანმა საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, სადაც ბაღებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგებზე ისაუბრა.

მერის მოადგილის განცხადებით, ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მონიტორინგის ჯგუფმა, გეგმიურ მონიტორინგზე, რამდენიმე საბავშვო ბაღში გამოავლინა რძის პროდუქტი, რომელიც ჩამოსხმული იყო განსხვავებული დიზაინის პაკეტში, ხოლო შემდგომ შეფუთული იყო თერმომდგრადი პაკეტით, რომელსაც დატანილი ჰქონდა რძის ეტიკეტი. აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით, საბავშვო ბაგა-ბაღების სააგენტომ იმ დღესვე მიმართა მომწოდებელ კომპანიას ხარვეზის დაუყოვნებლივ გამოსწორების მოთხოვნით.

– ჩვენ მივუთითეთ ამ კონკრეტულ მიმწოდებელ კომპანიას, რომ დაუყონებლივ გამოსწორებულიყო შესაბამისი ხარვეზი. კომპანიისგან მივიღეთ პასუხი, რომ ეს ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონის შესაბამისად და ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ იმ ეტაპისთვის ამოწურული იყო შესაფუთი პაკეტების მარაგი და რაოდენობა. კომპანიამ შესაბამისი შეკვეთა უკვე გააკეთა და ხარვეზი უახლოეს პერიოდში გამოსწორდება, – აღნიშნა ირაკლი ბენდელიანმა.

მერის მოადგილის განმარტებით, მერიამ უკვე მიმართა შესაბამის ლაბორატორიას, რომელიც აღნიშნულ შეფუთვაში არსებული რძის ხარისხს შეამოწმებს.

– უახლოეს დღეებში ველოდებით ლაბორატორიის პასუხს. ამ პასუხზე იქნება დამოკიდებული ჩვენი შემდგომი რეაგირება. თუ იქნება დადებითი პასუხი, ჩვენ გავაგრძელებთ ურთიერთობას ამ კომპანიასთან, თუ იქნება პასუხი, რომ ეს არ შეესაბამება დადგენილ ნორმებს, ამ კომპანიას აუცილებლად მოვთხოვთ პასუხს კანონის სრული სიმკაცრით, – განაცხადა ირაკლი ბენდელიანმა.

მისივე თქმით, სურსათის უვნებლობის სააგენტომ დღეს დილით შეამოწმა კომპანია „მილკო“ და შემოწმების შედეგები აჩვენებს, რომ პაკეტის შიგთავსი, რომელშიც რძე არის ჩამოსხმული, არის უსაფრთხო, ერთჯერადი მოხმარების, საკვები პროდუქტისთვის განკუთვნილი.

– ეს არ იყო ღვინის პაკეტი, ეს არის ჩვეულებრივი პაკეტი, რომელზეც მხოლოდ დიზაინი არის გაკეთებული ღვინის წარწერით, თუმცა შემადგენლობით სრულიად უსაფრთხოა, – განმარტა მერის მოადგილემ.

ირაკლი ბენდელიანმა საბავშვო ბაღების მენიუზეც ისაუბრა და განმარტა, რომ შემცირებულია არა საკვების ოდენობა, არამედ კალორაჟი. მისივე თქმით, მენიუს ცვლილება გამოწვეულია ჯანდაცვის სამინისტროს ახალი რეგულაციებით და ემყარება ექსპერტულ შეფასებებს.

– საკვები რაოდენობრივად შემცირებული არ არის, მენიუს შემადგენლობა შეიცვალა. მენიუში ცვლილება გამოწვეულია ჯანდაცვის სამინისტროს ახალი რეგულაციებით. ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ მენიუ არ არის ბაღების მართვის სააგენტოს ან მერიის რომელიმე თანამშრომლის მიერ შედგენილი, ის ექსპერტებმა შეადგინეს, – განაცხადა მერის მოადგილემ.

# „რძის პროდუქტის ღვინის ეტიკეტიან შეფუთვაში ჩამოსხმა ბაღებიდან მიღებულმა გადაჭარბებულმა შეკვეთამ გამოიწვია“




დედაქალაქის რამდენიმე ბაღში შეტანილი არასწორად ეტიკეტირებული რძის პროდუქტი აბსოლუტურად უსაფრთხოა, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ კომპანია „მილკოფუდში“ განუცხადეს.

კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის, ნინო ხაჩიძის თქმით, რძის პროდუქტის ღვინის ეტიკეტიან შეფუთვაში ჩამოსხმა ბაღებიდან მიღებულმა გადაჭარბებულმა შეკვეთამ გამოიწვია.

– რძის პროდუქტი ჩამოსხმული იყო ტეტრაპარკის შეფუთვაში, რომელიც არის უმაღლესი ხარისხის და საკმაოდ ძვირადღირებული მთელს მსოფლიოში. ყუთი არის აბსოლუტურად გამოუყენებელი, ახალი, უმაღლესი ხარისხის; აქვს 6 დამცავი შრე და ულტრაპასტერიზებულ პროდუქტს ინახავს 6 თვის განმავლობაში ისე, რომ ყველა თვისებას ინარჩუნებს პაკეტში. ჩვენ ვახორციელებთ შეფუთვის იმპორტს იტალიიდან. ამ ეტაპზე ბაღებიდან მოსულმა შეკვეთამ ძალიან გადააჭარბა გეგმას, იმ შეთანხმებას, რაც ჩვენს შორის იყო, ამიტომ იძულებულები გავხდით, ამ სახით შეგვეტანა პროდუქტი. ღვინის ეტიკეტირებით იყო პარკი, თუმცა, ამავე შეფუთვაზე გადაკრული გვქონდა რძის სპეციალური ეტიკეტიანი ქაღალდი, რომელზეც დატანილი იყო რძის ყველა მონაცემი. ყუთზე დატანილ მონაცემებს პროდუქტი მთლიანად აკმაყოფილებს, – განაცხადა ხაჩიძემ.

მისივე თქმით, მსგავსი შეფუთვით პროდუქტი თბილისის მასშტაბით რამდენიმე ათეულ ბაღში შევიდა.

– ჩვენი პროდუქტი არის ნატურალური, ნაღებზე დამზადებული და აკმაყოფილებს ISO-ს სტანდარტებს და სურსათის უვნებლობის ყველა სტანდარტს. თვეში ორჯერ მოწმდება კომპანიის პროდუქცია როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო კომპანიების მიერ. ორ დღეში ველოდებით ახალ შეფუთვებს იტალიური კომპანია „იპისგან“, იმ რაოდენობას, რაც გაზრდილი მოთხოვნისთვის იქნება საკმარისი. მსგავსი შემთხვევა არასდროს გვქონია, – განაცხადა ხაჩიძემ.

შეგახსენებთ, რომ ბაგა-ბაღებში რძის პროდუქტის ღვინის ეტიკეტიანი შეფუთვით შეტანის საკითხზე მერიაში დღეს ბრიფინგი გაიმართა. თავის მხრივ, სურსათის უვნებლობის სააგენტო რძის ხარისხს სწავლობს.

# დაავადებათა კონტროლის ცენტრი: „ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი ვაქცინა არ გამოყენებულა“

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე პაატა იმნაძე უარყოფს ინფორმაციას, რომ იმუნიზაციის პროგრამით ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი ვაქცინა დაიხარჯა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პაატა იმნაძემ განუცხადა, ვაქცინაზე, რომელზეც აუდიტის სამსახური აქცენტს აკეთებს, 2016 წელს ქვეყანაში კანონმდებლობის სრული დაცვით იყო შემოტანილი.

პაატა იმნაძის განმარტებით, კონკრეტულად, საუბარია ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაზე, რომლის გამოყენებითაც არც ერთ ადამიანს არანაირი უკუჩვენება არ ჰქონია.

– საქმე ეხება ცოფის ვაქცინას, რომელიც სასიცოცხლო მნიშვნელობის პრეპარატია. უფრო კონკრეტულად, თუ არ გაიკეთე ეს ვაქცინა, სიკვდილის რისკია. ვაქცინა შემოტანილი იყო ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. ადამიანებში, ცოფის არც ერთი შემთხვევა ბოლო სამი წელია არ გამოვლენილა. ასევე გეტყვით, რომ ეს არის 1989 წლის მერე პირველი შემთხვევა, როცა ბოლო სამი წელია ცოფი არ ყოფილა ადამიანებში. ამ ვაქცინის გამოყენებას არც ერთი გართულება არ მოჰყოლია. ხოლო, ამ საკითხზე აუდიტის სამსახურის მიერ არასწორი ინტერპრეტაცია გაკეთდა, – განაცხადა იმნაძემ.



მისი განმარტებით, „ეს ვაქცინა თუ არ გაიკეთა ადამიანმა, მოკვდება, ვინაიდან ცოფი არის 100%-იანი სასიკვდილო დაავადება. ამ ვაქცინით ვინც აიცრა, არც ცოფი დამართნია და არც რეაქცია ჰქონია“.

აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, საქართველოში 29 ათას 222 დოზა მოხმარებიდან ამოსაღები ვაქცინა გაიხარჯა.

# „საქართველოში აზერბაიჯანული გაზის გაყიდვა 7-ჯერ გაიზარდა“




სოკარ ჯორჯია გაზის გენერალური დირექტორი იმპორტიორი/გამანაწილებელი/მიმწოდელი კომპანიის 10-წლიან ანგარიშს აანონსებს.

აზერ მამედოვმა GBC-ის ვალდებულებების გადაჭარბებით შესრულებაზე განუცხადა როგორც საინვესტიციო, ისე გაზიფიცირებული მომხმარებლის რაოდენობით.

ამასთან, როგორც მამედოვმა აღნიშნა, სააბონენტო ბაზა 7-ჯერ გაიზარდა, 7-ჯერ არის გაზრდილი საქართველოს ტერიტორიაზე აზერბაიჯანული გაზის გაყიდვები. მთავრობასთან 2008 წელს გაფორმებულ საინვესტიციო ხელშეკრულებას 2017 წლის 10 დეკემბერს გაუვიდა ვადა და ანგარიში ამ თვის ბოლოს გამოქვეყნდება.

კომპანიის ტოპ-მენეჯერის განცხადებით, 2018 წლის გეგმები უფრო დატვირთულია. მისი თქმით, ინსტიტუციონალურ ზრდასთან ერთად, პრიორიტეტია ორგანიზაციული სტრუქტურის მეტად დახვეწა. ამას ითხოვს სათავო ოფისი აზერბაიჯანიდან და ასევე ადგილობრივი მარეგულირებელი. ის ევროპული რეგულაციების დანერგვის სიკეთეზეც აცხადებს, ხარისხის და გამანაწილებლის ქსელის მართვის თვალსაზრისით.

# „დუდაევის მკვლელობაში ექვმიტანილმა გაქცევა მოახერხა“



ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთში მარეკ დუდაევის მკვლელის სამძებრო სამუშაოები მიმდინარეობს. როგორც სააგენტო „რესი“ იუწყება, ოკუპირებული რეგიონის ე.წ. შინაგან საქმეთა მინისტრი იგორ ნანიევი, აცხადებს, რომ მათ მკვლელის ვინაობა უკვე დაადგინეს:

— ექვმიტანილმა გაქცევა მოახერხა, სავარაუდოდ, მან საქართველოს საზღვარი გადაკვეთა, თავდამსხმელმა დუდაევს თავის არეში „მაკაროვის“ ცეცხლსასროლი იარაღიდან ორი ჭრილობა მიაყენა, — აღნიშნა ე.წ. შს მინისტრმა.

მარეკ დუდაევი ოკუპირებულ ცხინვალში 16 იანვარს მოკლეს.

ცხინვალში მცხოვრები მარეკ დუდაევი ქართველმა სამართალდამცავებმა 2004 წელს დააკავეს, რის შემდეგაც სასამართლომ დამნაშავედ ცნო მკვლელობაში, ყაჩაღობასა და ფულის გამოძალვაში. 2005 წლის 25 ნოემბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 23 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

2012 წლის ზამთარში, დუდაევს ჯერ საყოველთაო ამნისტია შეეხო და სასჯელის ვადა 10 წლით შეუმცირდა, შემდეგ კი სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის ცვლილების გამო, რომელიც დანაშაულთა შეკრებითობის პრინციპის, სასჯელთა შთანთქმის პრინციპით შეცვლას გულისხმობდა, ცნობილი პატიმარი ციხიდან გათავისუფლდა.

# სტამბოლში ყაჩაღობისას საქართველოს ერთი მოქალაქე დაიღუპა, ერთი დაიჭრა, ორს კი ეძებენ



სტამბოლში საიუველირო მაღაზიის დაყაჩაღებისას საქართველოს ერთი მოქალაქე დაიღუპა, ერთი დაიჭრა, ორს კი ეძებენ. გამოძიების ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქეები მაღაზიაში შეიჭრნენ და იარაღი ამოიღეს, მაგრამ იუველირმა თავდამსხმელებს წინააღმდეგობა გაუწია და მათი მისამართით ცეცხლი გახსნა.

„მილიეთის“ ინფორმაციით, „ორმხრივი სროლის შედეგად დაიღუპა 40 წლის იუველირი ეიუფ სედათ ქოჩერი და ერთ-ერთი თავდამსხმელი რაიბული აბრალავა, ექვმიტანილი ლევან ბელთახოძე კი დაიჭრა. მოგვიანებით ბელთახოძე საავადმყოფოში გადაიყვანეს, მკურნალობის დასრულების შემდეგ კი დააკავეს და პატიმრობა მიუსაჯეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ექვმიტანილებმა თურქეთის ტერიტორიაზე უკანონოდ შეაღწიეს, მაღაზიის მახლობლად სახლი იქირავეს და რამდენჯერმე მაღაზიას ინფორმაციის შეგროვების მიზნით ეწვივნენ. პოლიცია საქართველოს ორი მოქალაქის ძებნას აგრძელებს.

# ნუცუბიძეზე გარდაცვლილი პაატა პავლიაშვილის საქმე შსს-ს გენინსპექციას გადაეცა



მთავარ პროკურატურაში ნუცუბიძეზე გარდაცვლილი პაატა პავლიაშვილის ახლობლებისა და უფლებადამცველების შეხვედრა გაიმართა პროკურატურის გენინსპექციის მთავარ გამომძიებელთან. ამის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ პავლიაშვილის საქმე გამოსაძიებლად გენინსპექციას გადაეცა. სამართალდამცავთა მოქმედებას სწორედ შსს-ს გენინსპექცია შეისწავლის.

აღნიშნულ შეხვედრას წინ ხანმოკლე საპროტესტო აქცია უძღოდა:

— იმ მთავარ კითხვას, რა მოხდა სინამდვილეში, როგორ განვითარდა მოვლენები, პასუხი ვერ გასცა პროკურატურამ მარტივი მიზეზის გამო, რომ არ არსებობს კრიტიკულად მნიშვნელოვანი კადრები. სწორედ ის, რომ კადრები არ გადაღებულა, ამ საქმის გაგრძელებას ვაპირებთ გენერალურ ინსპექციაში, — აცხადებს „საიას“ სისხლის სამართლის ადვოკატი ლევან ვეფხვაძე.

# გორში საბავშვო ბაღი გაქურდეს




გორში №1 საბავშვო ბაღი გაქურდეს. მომხდარზე გამოძიება დაწყებულია. წაღებულია ორი კომპიუტერი და ტელევიზორი.

არსებული ინფორმაციით, საბავშვო ბაღში დარაჯი არ იმყოფებოდა.

# ვინ არის დაკავებული გიორგი ჭანტურია, რომელმაც გენერალი ქუთათელაძე მკვლელობამდე ნახა



რუსთავში მოკლული გენერლის საქმეზე ახალი დეტალები ხდება ცნობილი — როგორც ირკვევა, სამსონ ქუთათელაძე უკანასკნელად გიორგი ჭანტურიამ ნახა, რომლის ოჯახიც წარსულში ე.წ. სტამბოლის ბაზრის წილს ფლობდა.

გიორგი ჭანტურია წლების განმავლობაში იკავებდა კახეთში პროკურორის თანამდებობას. ამ წუთებამდე კი ის რუსთავში კომისრის თანამდებობას იკავებს.

როგორც ირკვევა, ჭანტურია ქუთათელაძის საქმეზე დაკითხვაზე დაიბარეს, რის შემდეგაც საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა ჭანტურიას მშობლების სახლში, სადაც მაკაროვის ტიპის ცეცხლსასროლი იარაღის 9 ვაზნა აღმოაჩინეს, სწორედ ამის შემდეგ დააკავეს ჭანტურია.

ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, ამ უკანასკნელს არა ქუთათელაძის მკვლელობას, არამედ მას ბრალი სსკ-ის 236 მუხლის მეორე ნაწილით, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა წაუყენეს.

ადვოკატი ალექსანდრე კობაიძე „ნიუპოსტთან“ ადასტურებს, რომ გენერალ სოსო ქუთათელაძის მკვლელობის საქმეზე ერთი პირია დაკავებული. იურისტი ამ ეტაპზე ბრალდებულის ვინაობას არ ასახელებს. მისი თქმით, დაკავებულს ბრალი სსკ-ის 236 მუხლის მეორე ნაწილით, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა წაუყენეს.

კობაიძე ამბობს, რომ დაკავებულის ბინიდან იარაღის ტყვიებია ამოღებული, რაც ადვოკატის მტკიცებით, ბრალდებულის მამას ეკუთვნოდა და ქუთათელაძის მკვლელობასთან ამ ვაზნებს კავშირი არ აქვს.

ალექსანდრე კობაიძე ადასტურებს, რომ „სტამბოლის ბაზრის“ წილი მისი დაცვის ქვეშ მყოფებს 2010 წელს დაათმობინეს. მეტიც, ადვოკატის თქმით, ამ საქმეზე ოჯახის ორი წევრიც კი იყო დაკავებული.

— ჩემი დაცვის ქვეშ მყოფსა და გარდაცვლილ ქუთათელაძეს შორის გარკვეული ბიზნესინტერესების გათვალისწინებით გადაკვეთები ნამდვილად იყო. ის ერთ-ერთი ბოლო იყო, რომელმაც ქუთათელაძე ცოცხალი ნახა, ეს გახდა პოლიციისთვის ეჭვის საბაბი და გამოკითხვაზე დაიბარეს, — აცხადებს ადვოკატი.

ამასთან შს სამინისტრო „ნიუპოსტთან“ ადასტურებს ფაქტს, რომ გენერალ სამსონ ქუთათელაძის მკვლელობის გამოძიების ფარგლებში, სამართალდამცავებმა ერთი პირი დააკავეს.

უწყების ცნობით, გამოძიება გრძელდება იმის დასადგენად, არის თუ არა აღნიშნული პირი უშუალოდ ქუთათელაძის მკვლელობასთან კავშირში.

# კლუბ „ბასიანის“ თანამფლობელი: „არ გვიხარია ვინმეს ციხეში ჩასმა“





კლუბ „ბასიანის“ თანამფლობელი ზვიად გელბახიანი თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას აფასებს.

გელბახიანის შეფასებით, პრინციპული საკითხი იყო, რამდენად იქნებოდა მართლმსაჯულება მოწოდების სიმაღლეზე: „ჩვენ, როგორც „ბასიანს“, არ გვიხარია ვინმეს ციხეში ჩასმა“.

— მაშინ, როდესაც „ბირჟა-მაფიას“ საქმეზე იგივე მოსამართლემ პატიმრობაში დატოვა ჯგუფის წევრები, რატომ დაუშვა ამ შემთხვევაში გამონაკლისი და რატომ იყო სელექციური. კითხვას ბადებს ეს ყველაფერი. მე ის ინფორმაცია მაქვს, რომ ბრალდებულს მას შემდეგ, რაც კლუბში შესვლაზე უარი ეთქვა, აგრესიით გამოირჩეოდა, აგინებდა ყველას, მათ შორის დაცვის წევრებს, — განაცხადა ზვიად გელბახიანმა.

* * *

ღამის კლუბ „ბასიანის“ ინციდენტში ბრალდებულ თამაზ ქვლივიშვილს სააპელაციო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. განაჩენის გამოცხადების შემდეგ, ბრალდებულის ადვოკატმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ სასამართლომ ზეწოლას ვერ გაუძლო:

— მათ დაზიანების ხარისხის განმსაზღვრელი არანაირი დოკუმენტი არ ჰქონიათ, არც ექსპერტიზის დასკვნა. ერთადერთი ვარაუდი იყო ის, რომ ექიმმა მისცა ჩვენება, თითქოსდა თუ არ მოხდებოდა დროული ჩარევა, ის გარდაიცვლებოდა. ამ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, შესაძლოა, წარედგინათ მკვლელობის მცდელობაც. მე აქამდე ვიკავებდი თავს, მაგრამ ახლა გავაჟღერებ — დაცვის თანამშრომელმა ფეხქვეშ გაიგდო ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი და სცემდა. შსს მინისტრმა აბსოლუტურად კანონიერი და სწორი განცხადება გააკეთა. ბრალდებულმა არათუ არ იცოდა, რომ ის პოლიციელი იყო, და არც არანაირი განზრახვა არ ჰქონდა, რომ ვინმესთვის მიეყენებინა დაზიანება. ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ გაშველების დროს მიღებული დაზიანებები და რა გახდა ამ გაშველების მიზეზი, ამის მტკიცებულებებს ჩვენ მოვიპოვებთ. დღევანდელი გადაწყვეტილება არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, მოსამართლემ ვერ გაუძლო ზეწოლას, ვბრუნდებით ისევ და ისევ იმ პერიოდში, როდესაც გარედან ხდებოდა გადაწყვეტილების მიღება. მე არ ვიცი, რისი შეეშინდა — ატეხილი აჟიოტაჟის თუ სხვა რამის, ეს იყო არაკანონიერი და უსაფუძვლო გადაწყვეტილება, რომელიც სამწუხაროდ, არ საჩივრდება, — განაცხადა მესხმა.

# გურიაში ღორების მოპარვის ბუმია



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთში ქურდობამ იმატა, — ამის შესახებ „ნიუპოსტს“ რამდენიმე ადგილობრივმა აცნობა.

როგორც ისინი ჩვენთან საუბრისას აცხადებენ, სოფელში ბოლო დღეებში ორი საცხოვრებელი სახლი გაქურდეს, საიდანაც საყოფაცხოვრებო ნივთები წაიღეს. ორივე სახლი გვარად ლომჯარიებს ეკუთვნით, ერთი მათგანის, ბ.ლომჯარიას ოჯახი დედაქალაქში ცხოვრობს და ოზურგეთში მხოლოდ ზაფხულობით ჩადის. მეორე ს.ლომჯარიას სახლი კი დაკეტილია.

— ძირითადად დაკეტილ სახლებს ქურდავენ, გააქვთ ყველაფერი — ლეიბები, საბნები, ქვაბები, რისი წაღებაც კი შესაძლებელია. ალბათ, ყიდიან მერე, — ამბობს ქალბატონი, რომელიც ვინაობის გამხელისგან თავს იმ მოტივით იკავებს, რომ მიუხედავად სოფელში მომხდარი არაერთი ქურდობისა, მისი გახმაურება არ სურთ.

— არაერთი ფაქტია ქათმის, ხბოს, ღორის მოპარვის, მაგრამ ხმას არავინ იღებს. ალბათ, მხოლოდ უბნის რწმუნებულს ეუბნებიან და ელოდებიან, როდის მოეღება ამას ბოლო. გასულ წელს რკინის საწოლებზე იყო მაღალი მოთხოვნა. თუკი რომელიმე სახლში რკინის საწოლი იდგა და პატრონს სადმე გასულს დაიგულებდნენ, იპარავდნენ და ალბათ, ჯართში აბარებდნენ. ახლა შინაური ფრინველებისა და ცხოველების ქურდობას მიჰყვეს ხელი. მოშივდა ხალხს და თუ ვინმესთან რამეს დაიგულებენ, სტაცებენ ხელს, — ამბობს ქალბატონი.

გახშირებული ქურდობის ფაქტებზე გამგებლის წარმომადგენელს ჭანიეთში ირაკლი რამიშვილს დავუკავშირდით.

რამიშვილი გვპასუხობს, რომ მისთვის კონკრეტული ქურდობის ფაქტზე არავის მიუმართავს: „ჩემთან არავინ მოსულა და არ უთქვამს, რამე მოპარესო, უბნის რწმუნებული გვყავს და ალბათ, იმასთან გაარკვევდნენ“.

# სანქციებში შესაყვანი კრემლთან დაახლოებული პირები მალე დასახელდებიან

მარიამ მჭედლიშვილი

**მალე პუტინთან დაახლოებული ის პირები დასახელდებიან, რომლებსაც ახალი სანქციები შეეხებათ. იანვრის ბოლოს, წესით, ცნობილი უნდა გახდეს ჩინოსნებისა და მეწარმეების ჩამონათვალი, რომლებსაც შავ სიაში შეიყვანენ. ეს, სავარაუდოდ, 50-კაციანი სია იქნება.**



რუსეთის მთელი რიგი სფეროებისა და დარგების წინააღმდეგ შეზღუდვები უკვე შემოღებულია. აშშ-ის კონგრესის მიერ დამტკიცებულ სანქციებს პრეზიდენტმა ტრამპმა ზაფხულში მოაწერა ხელი. მანამდე მოქმედებდა შეზღუდვები ყირიმის ანექსიის გამო.

მომავალი შავი სია კრემლთან დაახლოებული ბევრი პიროვნების შეშფოთებას იწვევს. დასავლეთში მიიჩნევენ, რომ ეს უბრალოდ ბიზნესმენები არ არიან. პუტინთან შეკრული ოლიგარქები ხელს უწყობენ პუტინის რეჟიმის გაძლიერებას და მასთან ერთად ესხმიან თავს დასავლეთის დემოკრატიებს.

რუსეთში აშშ-ის ელჩი ჯონ ჰანტსმანი აცხადებს, რომ 29 იანვარს აშშ-ში გამოქვეყნდება ე.წ. „კრემლის მოხსენება", თუმცა, ამ მოხსენების გავრცელება არ ნიშნავს ავტომატურად სანქციების ამოქმედებას გარკვეული ჯგუფის მიმართ.

ეს მოვლენები იწვევს დიდ გაღიზიანებას რუსეთში. ფედერაციის საბჭოს საინფორმაციო პოლიტიკის კომისიის თავმჯდომარე ალექსეი პუშკოვი აცხადებს, რომ ახალი ანტირუსული სანქციები შეუქცევად სახეს მისცემს მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის არსებულ კონფრონტაციას.

მისი თქმით, ეს ხანგრძლივ ალყაში აქცევს იმ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ობამამ რუსეთის წინააღმდეგ მიიღო.

რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანი დიმიტრი პესკოვი აღნიშნავს, რომ აშშ-ის მხრიდან შესაძლო სანქციურ მოქმედებებს რუსეთი უპასუხოდ არ დატოვებს. საპასუხო ზომებზე გადაწყვეტილებებს პირადად ვლადიმერ პუტინი მიიღებს.

საფრანგეთის ელჩი რუსეთში სილვი ბერმანი აცხადებს, რომ ამ პროცესში პარიზისთვის მთავარია ევროკავშირის, კონკრეტულად კი საფრანგეთის ინტერესების დაცვა.

ვაშინგტონის მიმართ მკაცრ განცხადებებს აკეთებს რუსეთის საგარეო მინისტრი. ლავროვი აცხადებს, რომ აშშ ვერ ეგუება კონკურენტებს და ახალ მულტიპოლარულ მსოფლიო წესრიგს. ლავროვის მტკიცებით, აშშ განაგრძობს რუსეთისა და ჩინეთის პოზიციის იგნორირებას ჩრდილოეთ კორეის საკითხში. მისი თქმით, ვაშინგტონი უგულებელყოფს რუსეთისა და ჩინეთის მოწოდებებს ესკალაციის თავიდან აცილების თაობაზე.

დანიური პრესის ცნობით, შავ სიაში, სავარაუდოდ, მოხვდებიან ისეთი ყოვლისშემძლე ოლიგარქები, როგორებიც არიან რომან აბრამოვიჩი და ოლეგ დერიპასკა.

ცოტა ხნის წინ ნიცაში გადასახადების თავის ამრიდებელი კიდევ ერთი ოლიგარქის, სულეიმან ქერიმოვის დაკავება და თავდებით გაშვება ამერიკულ სანქციებს არ უკავშირდება. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ რუსეთის უმდიდრესი ადამიანების მიმართ განწყობა შეიცვალა.

ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ ახალი სანქციები აშშ-სა და რუსეთს შორის ურთიერთობებს კიდევ უფრო გააუარესებს.

ბოლო გამოკითხვებით, ამერიკელების აზრი რუსეთის მიმართ უარესობისკენ შეიცვალა და მიაღწია ყველაზე დაბალ დონეს უკანასკნელი ბოლო 30 წლის განმავლობაში. არის მსოფლიო პრობლემები, რომლებსაც ამერიკელები და რუსები ერთნაირად აღიქვამენ. ასეთებია საერთაშორისო ტერორიზმი, ისლამური ფუნდამენტალიზმი, ბირთვული იარაღის გავრცელება. ამერიკელები და რუსები სხვადასხვანაირად აღიქვამენ ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ პროგრამას. ეს აშფოთებს გამოკითხული რუსების მხოლოდ 37%-ს იმ დროს, როცა ეს საფრთხეა გამოკითხული ამერიკელების 75%-ისთვის.



## ტრამპი ნაზარბაევს შეხვდა

ყაზახეთის ლიდერი ნურსულთან ნაზარბაევი ვაშინგტონში ჩავიდა. თეთრ სახლში ის დონალდ ტრამპმა მიიღო.

– ყაზახეთი რეგიონის უმნიშვნელოვანესი ქვეყანაა! აშშ მასთან ურთიერთობას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს, – განაცხადა პრესკონფერენციაზე ტრამპმა.

ნაზარბაევმა თავის მხრივ თქვა, რომ აშშ-სთან ეკონომიკური თანამშრომლობა აღმავალი გზით მიმდინარეობს. შედეგად ყაზახეთის ეკონომიკა ვითარდება. გაჩნდა ახალი სამუშაო ადგილები.

– აშშ-სთან თანამშრომლობის ზრდამ ყაზახეთის ეკონომიკის შემდგომ განვითარებას ხელი შეუწყო, – თქვა ნაზარბაევმა.

ყაზახეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ აშშ უდიდეს როლს თამაშობს როგორც შუა აზიაში, ასევე ავღანეთშიც. მან გამოთქვა რწმენა, რომ ახლო მომავალში ამერიკული გავლენა კიდევ უფრო გაიზრდება.

ნაზარბაევი ჩრდილოეთ კორეის პრობლემასაც შეეხო.

– უყოყმანოდ ვიზიარებ ტრამპის პოზიციას ჩრდილოეთ კორეის მიმართ, – თქვა მან.

## პუჩდემონი მზადაა, ესპანეთის კონსტიტუცია აღიაროს



კატალონელი სეპარატისტების ლიდერმა პუჩდემონმა, რომელიც ახლა ბრიუსელში ცხოვრობს, განაცხადა, რომ ერთიანი ესპანეთის კონსტიტუციას აღიარებს.

– მზადა ვარ, ესპანეთის კონსტიტუციის ერთგულებაზე ფიცი დავდო, – თქვა მან.

პუჩდემონის გამოსვლას ესპანეთის პრემიერი რაჰოი გამოეხმაურა. მან აღნიშნა, რომ თუ პუჩდემონს ესპანეთში პოლიტიკური მოღვაწეობა სურს, ის, როგორც მინიმუმი, ქვეყანაში უნდა დაბრუნდეს.

– დისტანციიდან ასეთი განცხადებების გაკეთება შეუძლებელია! ეს არა მხოლოდ კანონს, არამედ საღ აზრს ეწინააღმდეგება, – ამბობს რაჰოი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

### კალეიდოსკოპი

## ძველი სურათი რემბრანდტის დაკარგული ტილო აღმოჩნდა



სურათი, რომლის 800 დოლარად გაყიდვა ამერიკის ქალაქ ტინეკის სამ მცხოვრებს სურდა, რემბრანდტის დაკარგული ნახატი აღმოჩნდა.

ძმებმა ნედ, როჯერ და სტივენ ლანდაუებმა დედის გარდაცვალების შემდეგ გადაწყვიტეს, სურათი გაეყიდათ. ნახატი მათ სახლში 1930-იანი წლებიდან ეკიდა, როდესაც ის ძველი ნივთების ბაზრობაზე შეიძინეს.

ლანდაუებმა ტილო აუქციონის შემფასებელს აჩვენეს, მაგრამ მან მასზე შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. ვაჭრობა 250 დოლარიდან დაიწყო და მალე მიაღწია 800 დოლარს. ამის შემდეგ აუქციონში ჩაერთვნენ მყიდველები საფრანგეთიდან და გერმანიიდან და ფასი 5000 დოლარამდე ასწიეს. მალე ფასმა 100 ათასს მიაღწია, შემდეგ 450 ათას დოლარს. ბოლო შეთავაზება ფრანგმა მყიდველმა გააკეთა და მისი ფასი 1,1 მილიონი დოლარი იყო.

აუქციონის ორგანიზატორები ვერ ხვდებოდნენ თუ რა ხდებოდა, ვიდრე მათ ვაჭრობის გერმანელმა მონაწილემ არ დაურეკა.

– ემი, ეს ხომ რემბრანდტია, – უთხრა მან აუქციონერ ემი ლადლოუს, რომელიც ფსონებს ტელეფონით იღებდა, – მე ამ სურათზე მთელი ჩემი პროფესიული კარიერის განმავლობაში ვნადირობდი.

აღმოჩნდა, რომ ეს ტილო შედიოდა იმ სერიაში, რომელიც ჰოლანდიელმა მხატვარმა XVII-საუკუნის დასაწყისში დახატა. ხუთი სურათიდან თითოეული ერთ-ერთი გრძნობის სიმბოლოს წარმოადგენს.

ნახატის ახალმა ფრანგმა მფლობელმა მას შემდეგ, რაც მის ნამდვილობაში დარწმუნდა, ის კოლექციონერს, რომელიც სერიის სამ ნახატს ფლობდა, მიჰყიდა. ამ გარიგების ფასი ოთხი მილიონი დოლარია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა


## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ფსორიაზის მკურნალობა მაღალი შედეგით – მალამოებით, ლიმფის გაწმენდითა და ნერვული სისტემის მოწესრიგებით. ფრჩხილის სოკო და კანის სოკო, ეგზემა, სტრეპტოდერმია და სხვა – ბუნებრივი საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე.597 98-95-99; 599 45-88-66. ნინო ექიმი.

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამადანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# ავსტრალიის ღია პირველობაზე ჩოგბურთელები შეიკრიბნენ



ავსტრალიის ღია პირველობის სკანდალურად დასრულებას ვარაუდობდნენ. საქმე ის არის, რომ მატჩების პარალელურად ჩოგბურთის გულშემატკივართა არანაკლები ინტერესი გამოიწვია დიდი სლემის ტურნირების 12-გზის ჩემპიონის ნოვაკ ჯოკოვიჩის თაოსნობით მოწყობილმა საგანგებო კრებამ, რომელზეც ჩოგბურთელთა დამოუკიდებელი პროფკავშირის დაფუძნება და საპრიზო თანხების გაზრდა მოითხოვეს.

თუმცა, როგორ ირკვევა, სკანდალი არ იქნება და კრების შედეგად უფრო რბილი შედეგებით დასრულდება.

**ნოვაკ ჯოკოვიჩი:**

– ჟურნალისტებმა ჩემი სიტყვების არასწორი ინტერპრეტაცია მოახდინეს. გარკვეული ფრაზები კონტექსტიდან ამოგლეჯილი მიაწოდეს მკითხველს. ხარბ ადამიანად გამომიყვანეს, რომელიც კიდევ უფრო მეტი თანხის გამომუშავებას ეშურება. ეს არასწორია. შეკრებაზე გარკვეული პრობლემები წამოვწიეთ და გულახდილად ვისაუბრეთ. სეზონის მსვლელობისას ერთად მხოლოდ 2-3-ჯერ ვიკრიბებით. ასე ხდება წლის დასაწყისში მელბურნში და ეს შესაძლებლობა ხელიდან არ გავუშვით. არანაირი გადაწყვეტილება არ მიგვიღია. მით უმეტეს, რომელიმე ტურნირის ბოიკოტის თაობაზე გვიმსჯელია. ესაა და ეს. ნუ შეეცდებით, რაიმე სენსაციური ამბის გაშუქებას. კრებიდან ჟურნალისტები მხოლოდ იმიტომ დავითხოვეთ, რომ ჩოგბურთელებს ერთმანეთთან გვსურდა საუბარი. მასმედიელებს თავაზიანი ფორმით მოვთხოვეთ დარბაზის დატოვება და ერთმანეთის აზრიც დაუფარავად გავუზიარეთ კრების მონაწილეებს.

# კალათბურთელთა ასაკობრივი ნაკრებების მეტოქეები ცნობილია




გერმანიის ქალაქ მიუნხენში გაიმართა გოგონათა და ვაჟთა ახალგაზრდული ევროპის ჩემპიონატების კენჭისყრა, რის შედეგად გაირკვა საქართველოს ნაკრების მეტოქეები სხვადასხვა ასაკობრივ ევროპის ჩემპიონატებში. ამასთან, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი ნაკრებები სხვადასხვა დივიზიონებში იასპარეზებენ.

კენჭისყრას ესწრებოდა საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გამგეობისა და ფიბა-ევროპის ახალგაზრდული კომიტეტის წევრი მიხეილ გაბრიჩიძე, რომელმაც კენჭისყრაშიც მიიღო მონაწილეობა.

მიხეილ გაბრიჩიძე:

– საკმაოდ საინტერესო მეტოქეები შეგვხვდა. განსაკუთრებით საყურადღებოა ვაჟთა 16 წლამდე ნაკრები, რომელიც საქართველოს ასაკობრივ გუნდებს შორის ყველაზე მაღალ დონეზე – ა დივიზიონში ასპარეზობს. ჩვენი ბიჭები ძლიერ ქვეჯგუფში მოხვდნენ, თუმცა სხვანაირად არც იქნებოდა. თუ გვინდა წინსვლა და განვითარება, სწორედ ძლიერ გუნდებს უნდა ვეთამაშოთ და მოვუგოთ. ძალიან საინტერესოა გოგონათა ნაკრებების ჯგუფებიც. 18-წლამდელებმა შარშან ბ დივიზიონში პირველად იასპარეზეს და დებიუტის კვალობაზე ურიგოდ არ გამოსულან. იმედი მაქვს, შარშანდელი გამოცდილება მათ სათამაშო კლასზე დადებითად იმოქმედებს. წარმატება მინდა ვუსურვო ჩვენს ყველა ნაკრებს. მათი წევრები არიან ქართული კალათბურთის მომავალი.

გაგაცნობთ კენჭისყრის შედეგებს:

16 წლამდე გოგონათა ნაკრები. ც დივიზიონი

**ა ჯგუფი:** ავსტრია, მალტა, საქართველო, მონაკო;

18 წლამდე გოგონათა ნაკრები. ბ დივიზიონი

**ა ჯგუფი:** პორტუგალია, რუმინეთი, ფინეთი, ისლანდია, კვიპროსი, საქართველო;

16 წლამდე ვაჟთა ნაკრები. ა დივიზიონი

**დ ჯგუფი:** საფრანგეთი, იტალია, ესტონეთი, საქართველო;

18 წლამდე ვაჟთა ნაკრები. ბ დივიზიონი

**ბ ჯგუფი:** ესტონეთი, ბელგია, საქართველო, უნგრეთი, ავსტრია, აზერბაიჯანი;

20 წლამდე ვაჟთა ნაკრები. ბ დივიზიონი

**დ ჯგუფი:** ფინეთი, პოლონეთი, საქართველო, პორტუგალია, კოსოვო;

# მანჩესტერული ამბები



სეზონის დაწყების წინ არ წყდებოდა საუბრები ჟოზე მოურინიოს მომავალთან დაკავშირებით. მის სახელს პირველ რიგში პარიზულ გრანდს უკავშირებდნენ მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა უნაი ემერისა და ნეიმარს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ პორტუგალიელმა არაერთხელ გამოთქვა კლუბში დარჩენის სურვილი, სპეკულაციები მისი გვარის გარშემო არ შეწყვეტილა.

გავრცელებული ინფორმაციით, ხელშეკრულება, რომელიც 2019 წლის ბოლომდე იყო, გახანგრძლივებულია. კონკრეტულ დეტალებს კლუბი უახლოეს მომავალში გაასაჯაროებს.

პორტუგალიელი სპეციალისტი მეორე სეზონს ატარებს მთავარი მწვრთნელის რანგში, წარმატებული გამოდგა პირველივე სეზონი, რომელშიც გუნდმა სამი ტიტული მოიპოვა და ჩემპიონთა ლიგას დაუბრუნდა, პრემიერლიგის ეგიდით გამართული 25 მატჩი წაუგებლად განვლო და სხვა მრავალი აღსანიშნავი ფაქტორი, რითაც დაიმსახურა კლუბის უფროსობისა და გულშემატკივრების აბსოლუტური უმრავლესობის ნდობა.

მოურინიოს გარდა, სატრანსფერო ფანჯრის გახსნის დღიდან არ წყდება საუბრები პოტენციური ახალწვეულების შესახებ. სწორედ ამ სპეკულაციებმა გადაფარა სიახლეები, რომლებიც უკვე იუნაიტედის მოქმედი ფეხბურთელების გარშემო გავრცელდა.

სიახლე არავისთვისაა, რომ მადრიდის რეალის ნომერ პირველი სამიზნე, ბოლო სეზონებში დავიდ დე ხეაა. მადრიდელები ახლოსაც იყვნენ მის გაფორმებასთან, მაგრამ ფაქსთან დაკავშირებული პრობლემის გამო ესპანელი ბრიტანეთში დარჩა.

ამჯერად მანჩესტერმა თავი დაიზღვია და ესპანელს გაუმჯობესებული კონტრაქტი გაუფორმა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ 2019 წელს იწურება, არის პუნქტი, რომელიც მისი ერთი წლით ავტომატურად გაგრძელებას გულისხმობს.

კლუბის ტელევიზიასთან მიცემულ ინტერვიუში მოურინიომ დაადასტურა, რომ გუნდი არა მხოლოდ ერთი წლით გაგრძელებას, არამედ გრძელვადიანი კონტრაქტის შეთავაზებას აპირებს. მანჩესტერის ბოსის სიტყვებით, მისტერ ვუდვორდი შეუსვენებლად მუშაობს ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

კვლავ უცნობია სერხიო რომეროს მომავალი, რომელიც მიუხედავად მისი ჯანმრთელობისა, არ გაემგზავრა გუნდთან ერთად დუბაიში, ვერ მოხვდა სტოკთან განაცხადში. როგორც ჩანს, გავრცელებული ჭორები რომეროს კლუბის დატოვების სურვილის შესახებ, მართალი აღმოჩნდა. კარს მომდგარი მსოფლიო ჩემპიონატის წინ, არგენტინელი მეკარე რეგულარულ სათამაშო დროზე ფიქრობს, რაც გახდება გარანტი, დარჩეს ნომერ პირველ მეკარედ არგენტინის ეროვნულ ნაკრებში.

გაურკვევლობაა ჰენრიხ მხითარიანის ირგვლივ: ფეხბურთელის აგენტმა, მინო რაიოლამ ინგლისურ მედიას ინტერვიუ მისცა. როგორც მისი მონაყოლიდან ირკვევა, ყველაფერი სომეხ ფეხბურთელზეა დამოკიდებული, მას აქვს შემოთავაზება ლონდონის არსენალისგან, რომელიც თავის მხრივ სომეხ ფეხბურთელს ალექსისის შემცვლელად მიიჩნევს.

რაიოლას განცხადებით, მხითარიანს კონტრაქტით კიდევ 2 წელი აქვს დარჩენილი და ნახევარი სეზონი და განიხილავს იუნაიტედში დარჩენის ვარიანტს. როგორც ჩანს, ტრანსფერის გაოფიციალურებას მართლაც ეს დეტალი აფერხებს, არსენალი ვერ აძლევს იმ ყოველკვირეულ ანაზღაურებას, რასაც იუნაიტედში იღებს.

სანჩესის ამბავი კი თავიდან ბოლომდე გარკვეულია. შეთანხმების თანახმად, არსენალი 30 მილიონს, სანჩესის აგენტი 5 მილიონს, თავად სანჩესი კი კვირაში 350.000 გირვანქა სტერლინგს გამოიმუშავებს.

# საბურთალო შეკრებაზე გაემგზავრა



დედაქალაქური საბურთალო აგრძელებს მზადებას ახალი სეზონისთვის და თურქეთის ქალაქ სიდეში გაემგზავრა, სადაც 2 კვირის განმავლობაში დარჩება.

გიორგი ჭიაბრიშვილის შეგირდები, როგორც გასულ წელს, წლეულსაც სასტუმრო სენსიში დაბინავდებიან.

თბილისელები პარალელურად ამხანაგურ შეხვედრებს გამართავენ. 20 და 25 იანვარს რუმინეთის უმაღლესლიგელ კლუბებს – კონკორდიასა და სეპსის დაუპირისპირდებიან, ხოლო პირველ შეკრებას 29 რიცხვში ბულგარეთის უმაღლესლიგელ ბოტევთან თამაშით დაასრულებენ.

კლუბთან ერთად შეუდგება ვარჯიშს გურამ გოშთელიანი, რომელმაც ტრავმის გამო დიდი დრო გამოტოვა. ბელგიიდან გუნდს დაუბრუნდა ვაგნერ გონსალესი. გუნდშია ვეტერანი მეკარე გიორგი სომხიშვილიც.

საბურთალო შეკრებაზე შემდეგი შემადგენლობით გაემგზავრა:

ლაზარე კუპატაძე, ბექა ქურდაძე, გიორგი სომხიშვილი, ნიკოლოზ მალი, ნოდარ იაშვილი, გრიგოლ ჩაბრაძე, დაჩი ცნობილაძე, გაგი მარგველაშვილი, თედორე გრიგალაშვილი, გიორგი ჯინჯოლავა, ლუკა ლაკვეხელიანი, ცოტნე ნადარაია, თორნიკე თარხნიშვილი, ვლადიმერ მამუჩაშვილი, სანდრო ალთუნაშვილი, ელვინ ტერა, ბექა გვარაძე, თორნიკე გორგიაშვილი, გონსალეს ვაგნერი, გიორგი დიასამიძე, გიორგი ხარაიშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, გიორგი [illegible]

# ბასილაშვილი და კალაშნიკოვა იგებენ



ავსტრალიის ღია პირველობაზე ნიკოლოზ ბასილაშვილმა მეორე გამარჯვება მოიპოვა და მეთექვსმეტედფინალში გავიდა.

პრესტიჟული ტურნირის მეორე წრეში ქართველმა ჩოგბურთელმა ბელგიელ რუბენ ბებელმანსს 3 სეტში, 7:5, 6:1, 6:3 სძლია.

მატჩი 1 საათი და 41 წუთი გაგრძელდა. 25 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა მატჩის მსვლელობისას 6 ეისი მოაწოდა და ბელგიელს 5 ბრეიქი შეუსრულა, ხოლო 30 წლის ბემელმანსმა ბასილაშვილს ვერც ერთი მოწოდება ვერ აართვა.

შეგახსენებთ, რომ ტურნირის პირველ ეტაპზე ქართველმა ჩოგბურთელმა ავსტრიელი ჟერალდ მელცერი, რომელიც მსოფლიო რეიტინგში 102-ე პოზიციაზეა, 4 სეტში – 6:3, 6:4, 2:6, 6:3 დაამარცხა.

მეთექვსმეტედფინალში ბასილაშვილის მეტოქე 23 წლის ბრიტანელი, კაილ ედმუნდი იქნება, რომელიც რეიტინგში 49-ე პოზიციაზეა.

ავსტრალიის ღია პირველობაზე წარმატებული სტარტი აიღო კიდევ ერთმა ქართველმა ჩოგბურთელმა ოქსანა კალაშნიკოვამ.

წყვილთა შორის 27 წლის კალაშნიკოვამ, ამერიკელ ვარვარა ლეპჩენკოსთან ერთად, იაფან ვანგისა და ქიანგ ვანგის ჩინურ დუეტს ორ სეტში – 6:4, 6:2 სძლია.

ქართულ-ამერიკულმა წყვილმა 4 ბრეიკი გააკეთა, საკუთარი ჩაწოდება კი ერთხელ დაკარგა. რაც შეეხება ეისებს და ორმაგ შეცდომებს: პირველ კომპონენტში კალაშნიკოვამ და მისმა მეწყვილემ თავი ორჯერ გამოიჩინეს, ხოლო მეორე კომპონენტით მეტოქეს ქულა მხოლოდ ერთხელ დაუთმეს.

მომდევნო წრეში მათი მეტოქე ტურნირზე პირველ ნომრად განთესილი, ანდრეა ჰლავაჩკოვასა და ლატიშა ჩანის წყვილი იქნება.

გოგონათა შორის საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილეობდა ზოზია ქარდავა, რომელიც რუსეთში დაბადებული და გაზრდილია, მაგრამ ავსტრალიაში საქართველოს სახელით გამოდიოდა. ქარდავა სერბ ანდრეა სკრობონიასთან დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა – 2:6, 6:3, 6:7.

# რეალის სამიზნე იკარდი და ობამეიანგია




მადრიდის რეალი მილანის ინტერის თავდამსხმელის მაურო იკარდის გადაბირების იდეას არ ეშვება.

იტალიური მედიის ინფორმაციით, ესპანური კლუბი მზადაა, ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში, 24 წლის არგენტინელ ფეხბურთელში ინტერს პირგასამტეხლო თანხა – 110 მილიონი ევრო სრულად გადაიხადოს.

მაურო იკარდი ინტერის ღირსებას 2013 წლიდან იცავს, მილანელებთან კონტრაქტი კი 2021 წლამდე აკავშირებს. მიმდინარე სეზონში იკარდიმ ინტერის მაისურით სერია ა-ს 20 მატჩში 18 გოლი გაიტანა და ერთი საგოლე პასი მიითვალა.

მილანურ კლუბს არგენტინელთან ახალი კონტრაქტის გაფორმება და სატრანსფერო ფასის 200 მილიონ ევრომდე გაზრდა სურდა, მაგრამ მაურომ სანაცვლოდ ხელფასის გაორმაგება მოითხოვა.

ცნობილია, რომ ფეხბურთელის გადაბირებით ასევე ინტერესდებიან არსენალი, პსჟ და ბაიერნი.

რეალი მარტო იკარდის შეძენით არ არის დაინტერესებული – ესპანური პრესის ინფორმაციით, მადრიდელებმა დორტმუნდს, პიერ ემერიკ ობამეიანგის ტრანსფერთან დაკავშირებით, ოფიციალურად მიმართეს. „სამეფო კლუბმა“ გერმანელებს, ფეხბურთელის სანაცვლოდ, 70 მილიონი ევრო შესთავაზა.

რამდენიმე დღის წინ გავრცელებული ცნობით კი, ობამეიანგსა და ლონდონის არსენალს შორის თითქოს შეთანხმება უკვე მიღწეული იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, საქმეში რეალიც ჩაერთო.

# შედეგები

**16 იანვარი**

**ფეხბურთი**

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ბორდო-კაენი .......... 0:2
მარსელი-სტრასბური .......... 2:0
მონაკო-ნიცა .......... 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 20 | 17 | 2 | 1 | 59:15 | 53 |
| 2.მარსელი | 21 | 13 | 5 | 3 | 43:22 | 44 |
| 3.მონაკო | 21 | 13 | 4 | 4 | 48:21 | 43 |
| 4.ლიონი | 20 | 12 | 6 | 2 | 47:21 | 42 |
| 5.ნანტი | 20 | 10 | 3 | 7 | 18:19 | 33 |
| 6.ნიცა | 21 | 9 | 4 | 8 | 27:31 | 31 |
| 7.გენგამი | 20 | 8 | 5 | 7 | 23:24 | 29 |
| 8.მონპელიე | 20 | 6 | 9 | 5 | 17:13 | 27 |
| 9.კაენი | 21 | 8 | 3 | 10 | 14:22 | 27 |
| 10.დიჟონი | 20 | 7 | 4 | 9 | 29:34 | 25 |
| 11.რენი | 20 | 7 | 4 | 9 | 24:29 | 25 |
| 12.სტრასბური | 21 | 6 | 6 | 9 | 24:35 | 24 |
| 13.ბორდო | 21 | 6 | 5 | 10 | 23:31 | 23 |
| 14.სტ.ეტიენი | 20 | 6 | 5 | 9 | 20:33 | 23 |
| 15.ლილი | 20 | 6 | 4 | 10 | 18:30 | 22 |
| 16.ამიენი | 20 | 6 | 3 | 11 | 16:22 | 21 |
| 17.ტრაუ | 20 | 6 | 3 | 11 | 20:28 | 21 |
| 18.ანჟე | 20 | 3 | 10 | 7 | 22:30 | 19 |
| 19.ტულუზა | 20 | 5 | 4 | 11 | 18:29 | 19 |
| 20.მეცი | 20 | 3 | 3 | 14 | 14:35 | 12 |

**საფრანგეთი. ლიგა 2**

აიაჩო-ორლეანი .......... 1:1
ბურჟი-კევიი .......... 3:5
ლე ავრი-პარიზი .......... 1:1
გაზელეკი-ბრესტი .......... 1:1
კლერმონი-ვალანსიენი .......... 3:0
ნანსი-ნიმი .......... 0:2
ოსერი-ნიორი .......... 5:0
რეინსი-ტური .......... 1:0
შატორუ-ლორიანი .......... 3:1

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

სპარტა-ვიტესი .......... 0:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

ოსტენდე-გენკი .......... 1:2

**ჩოგბურთი**

**ავსტრალიის ღია პირველობა**

**კაცები**

ნიშიოკა-სეპი .......... 1:6,3:6,4:6
ჟაზირი-მიულერი ... 5:7,4:6,7:6,6:3,2:6
ბასილაშვილი-ბემელმანსი .7:5,6:1,6:3
შაპოვალოვი-ცონგა 6:3,3:6,6:1,6:7,5:7
კარლოვიჩი-სუგიტა 7:6,6:7,7:5,4:6,12:10
ედმუნდი-ისტომინი .......... 6:2,6:2,6:4
სოზა-ჩილიჩი .......... 1:6,5:7,2:6
მილმანი-ჯუმხური .......... 5:7,6:3,4:6,1:6
კუევასი-ჰარისონი .......... 4:6,6:7,4:6
ნადალი-მაიერი .......... 6:3,6:4,7:6
შვარცმანი-რუდი .......... 6:4,6:2,6:3
კირგიოსი-ტროიცკი .......... 7:5,6:4,7:6
ბაგდატისი-რუბლიოვი 4:6,7:6,4:6,2:6
დოლგოპოლოვი-ებდენი .....7:6,6:3,6:4

**ქალები**

პავლუჩენკოვა-ბონდარენკო .... 2:6,3:6
სინიაკოვა-სვიტოლინა .......6:4,2:6,1:6
კოსტიუკი-როგოვსკა .......... 6:3,7:5
ჩანი-ალერტოვა .......... 4:6,6:7
ფლიპკენსი-რიბარიკოვა ....4:6,6:0,2:6
ბენჩიჩი-კიუმჰიუმი .......... 1:6,3:6
მარტიჩი-ბეგუ .......... 6:4,7:6
ფეტი-ვოზნიაცკი .......... 6:3,2:6,5:7
ლინეტი-კასატკინა .......... 7:6,6:2
ოსტაპენკო-დუანი .......... 6:3,3:6,6:4
ბერტენსი-გიბსი .......... 7:6,6:0
კანეპი-პუიგი .......... 6:4,6:3
ბარტელი-კონტევეიტი .......3:6,6:4,3:6
კორნე-გერგესი .......... 6:4,6:3
სუარეს ნავარო-ბაბოში ......6:4,2:6,6:2

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## პლასტიკურ ქირურგზე ეკონომია გოგონას ძვირად დაუჯდა



ბანგკოკში არაკვალიფიცირებული პლასტიკური ქირურგის მსხვერპლ ქალს სასწრაფო ოპერაცია გაუკეთდა, რათა მისთვის ცხვირიდან სილიკონის იმპლატანტი მოეშორებინათ.

რინოპლასტიკის შემდეგ, ქალს ცხვირის წვერზე ჭრილობა გაუჩნდა, საიდანაც იმპლატანტის ნაწილმა გამოჟონა. ის იძულებული გახდა დახმარებისთვის ექიმებისთვის მიემართა.

პაციენტი არ აღიარებს, თუ სად გაიკეთა რინოპლასტიკა. საავადმყოფოში, სადაც მას სამედიცინო დახმარება გაუწიეს, ეჭვობენ, რომ ქალმა იაფფასიანი საავადმყოფოს მომსახურებით ისარგებლა, რომელსაც შესაბამისი ლიცენზია არ გააჩნდა.

## ჩინეთის ცირკში ვეფხვი და ლომი ცხენს თავს დაესხნენ

ჩინეთის ცირკში წარმოდგენის რეპეტიციის დროს ლომი და ვეფხვი ცხენს თავს დაესხნენ. მომხდარის ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ვიდეორგოლზე, რომელიც ჩინეთის პროვინცია ხებეის ქალაქ ცანჩჟოუშია გადაღებული, თეთრი ცხენი ცდილობს თავი გაითავისუფლოს ვეფხვისა და ლომისგან და არენას წრეებს ურტყამს. მომთვინიერებლები მის დახმარებას მტაცებლებისთვის მათრახების დარტყმით ცდილობენ. ზოგჯერ ცხოველი ერთი მტაცებლის მოშორებას ახერხებს, მაგრამ მას მაშინვე თავს ესხმის მეორე. საბოლოოდ მან მაინც მოახერხა მტაცებლებისგან თავის დაღწევა.



ცირკის ერთ-ერთმა თანამშრომელმა განაცხადა, რომ შოუს ავტორების ჩანაფიქრით, მტაცებლები სპეციალური უნაგირის დახმარებით ცხენზე უნდა ყოფილიყვნენ ამხედრებულები. ის მომხდარს არ გაუკვირვებია.

– ისინი, ცხენისგან განსხვავებით, გარეული ცხოველები არიან. დოკუმენტურ ფილმებში აჩვენებენ, რომ ისინი ჭამენ ძროხებს. ასე რომ, მათი ქცევა ნორმალურია, – მიიჩნევს ცირკის თანამშრომელი. მან იქვე დაამატა, რომ ცხენი გადარჩა და უმნიშვნელო დაზიანებები მიიღო.

### სპორტი

## იუპ ჰაინკესი: „მწვრთნელები ნეტარებაში არ არიან“



მიუნხენის ბაიერნის მთავარი მწვრთნელი, იუპ ჰაინკესი „რეკორდმაისტერის“ ვეტერანი ვინგერების, ფრანკ რიბერისა და არიენ რობენის შესახებ საუბრობს.

კიკერისთვის მიცემულ ინტერვიუში, კლუბის გამოცდილი დამრიგებელი აცხადებს, რომ ხსენებული ფეხბურთელების დაუფასებლობა არ შეიძლება და მათ მიმართ, ამ დრომდე განსაკუთრებული ნდობა აქვს.

იუპ ჰაინკესი:

– არავინ არ უნდა მისცეს თავს უფლება და არ დააფასოს ფრანკ რიბერი და არიენ რობენი. ამ დრომდე, ორივე ეს ფეხბურთელი მოწადინებულია რაღაც ახალი შეისწავლონ. ჩემზე განსაკუთრებით დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, საკუთარი ფიზიკური კონდიციების გათვალისწინებით, რიბერის მიერ გაწეული სამუშაო პროცესი. მინდა აღვნიშნო, რომ ორივე ეს მოთამაშე, ჩემი განსაკუთრებული ნდობით სარგებლობს.

72 წლის სპეციალისტმა ასევე ისაუბრა, ბავარიელთა რიგებში ლეონ გორეცკას შესაძლო ტრანსფერთან დაკავშირებით.

– გორეცკას ტრანსფერი ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის და ფეხბურთელთან კონკრეტული ხელშეკრულებაც არ გვაქვს გაფორმებული, მაგრამ შემიძლია განვაცხადო, რომ ამის შანსი საკმაოდ მაღალია. ეს ტრანსფერი თავად ფეხბურთელისთვისაც უკეთესი იქნება.

ჰაინკესი ბავარიელთა ცენტრალურ მცველებს, მატს ჰუმელსსა და ჟერომ ბოატენგს ფხიზლად ყოფნისკენ მოუწოდებს. მისი განცხადებით, ნიკლას ზულეს სახით ხსენებულ ორ ფეხბურთელს სერიოზული კონკურენტი ჰყავს.

– რა თქმა უნდა, ამ ეტაპისთვის ნიკლას ზულე არ არის ისეთივე დონის ფეხბურთელი, როგორიც ჟერომ ბოატენგი და მატს ჰუმელსია, მაგრამ ამ 2 ფეხბურთელს ვურჩევდი მუშაობა მაქსიმალური კონცენტრაციით გააგრძელონ, რადგანაც ზულე მაღალი კლასის ცენტრალური მცველია და იგი საკუთარ გზას აუცილებლად გაიკაფავს. ეს ფეხბურთელი მცირედით ფლეგმატურია. ამიტომაც მას ჩემგან, გამუდმებით ერთგვარი ბიძგი ესაჭიროება. მაგრამ მან შესანიშნავად უწყის, რომ მე მისთვის მხოლოდ კარგი მსურს.

ბავრიელთა დამრიგებელმა ასევე ისაუბრა სამწვრთნელო მუშაობის სპეციფიკის შესახებ და ჟურნალისტის მიერ დასმულ შეკითხვაზე, თუ რამდენად კომფორტულია მისთვის მიმდინარე საქმიანობა, შემდეგი შინაარსის პასუხი გასცა.

– გუნდის მთავარი მწვრთნელი, ამა თუ იმ ფეხბურთელისგან განსხვავებით, საკუთარი საქმიანობით ტკბობას ვერ იღებს. მწვრთნელმა წინასწარ იცის, არა თუ დღის, არამედ მთელი კვირის განრიგი. არა, შეუძლებელია, რომ ამგვარმა სამუშაომ გუნდის თავკაცი ნეტარებაში ამყოფოს.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## სატვირთო მანქანების ყველაზე სექსუალური მძღოლები ტიტულისთვის კამათობენ



კონკურსის Miss Tattoo AustraliaG ფინალისტი ჯენი დესმონდი მსოფლიოს ყველაზე სექსუალური სატვირთო მანქანის მძღოლის ტიტულზე აცხადებს პრეტენზიას, რომელიც ავსტრალიურმა პრესამ მოდელ ბლეიზ უილიამს მიაკუთვნა.

დესმონდი ექვსი წელია სატვირთო მანქანას მართავს და ამტკიცებს, რომ შეუძლია უილიმსს ფორა მისცეს. მისი თქმით, მას თავისი სამუშაო უყვარს.

– მე რომ ეს არ მომწონდეს, ამდენი ხანი ამით არ ვიქნებოდი დაკავებული, – ამტკიცებს დესმონდი. მის ბრიგადაში 19 მძღოლიდან მხოლოდ სამია ქალი.

– ძალიან სამწუხაროა, რომ ქალი მძღოლები ასე ცოტანი არიან, არადა წესით მეტნი უნდა ყოფილიყვნენ, – განაცხადა დესმონდმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## მეთევზეებმა ზვიგენები დაანაყრეს



ავსტრალიის კვინსლენდის შტატში მეთევზეებმა, რომელიც გიგანტური სკუმბრიის დაჭერას წყლის მოტოციკლის დახმარებით ფიქრობდნენ, უამრავი ზვიგენის ყურადღება მიიპყრეს.

მეთევზეებმა ნაპირიდან ერთი კილომეტრის მანძილზე შეცურეს და წყალში სატყუარად წვრილი თევზები ჩაყარეს. ისინი ფიქრობდნენ, რომ გიგანტურ სკუმბრიას მიიტყუებდნენ, მაგრამ მის მაგივრად ზვიგენები გამოჩნდნენ. დაახლოებით 15-მა ზვიგენმა ჰიდროციკლი ალყაში მოაქცია და მეთევზეების მიერ წყალში ჩაყრილი სატყუარათი დანაყრებას შეუდგნენ.

– ისინი რიგრიგობით მოქმედებდნენ, მეტად ორგანიზებულად, უბრალოდ თევზს იტაცებდნენ, ეს ყოველივე შთამბეჭდავად გამოიყურებოდა. მხოლოდ ის მაფიქრებდა, რომ წყალში არ აღმოვჩენილიყავი, – განაცხადა ერთ-ერთმა მეთევზემ.

მისი თქმით, მათ თავდაპირველად ოთხმეტრიანი თეთრი ზვიგენი შენიშნეს, შემდეგ იმავე ზომის ვეფხვისებური ზვიგენი დაინახეს, შემდეგ კი სხვებიც გამოჩნდნენ.

## შვედურმა ზოოპარკმა ლომის ბოკვერების დახოცვა აღიარა

შვედური ზოოპარკის თანამშრომლებმა ჯანმრთელი ლომის ბოკვერები დააძინეს, ვინაიდან მათი შენახვა არ შეეძლოთ. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ზოოპარკის დირექტორმა, რომელიც ქალაქ გიოტებორგიდან 40 კილომეტრში მდებარეობს, აღიარა, რომ 2012 წლიდან მოყოლებული მათ ლომის სრულიად ჯანმრთელი ცხრა ბოკვერი დააძინეს. მისი თქმით, ამის გაკეთება იმ შემთხვევაში უწევთ, თუ ცხოველი პრაიდში არ მიიღეს, ხოლო სხვა ზოოპარკებს მათი წაყვანა არ შეუძლიათ.

– ჩვენ დიდხანს ვცდილობდით მათ გაყიდვას ან სხვა ზოოპარკებში გადაყვანას, მაგრამ სამწუხაროდ, არავინ მოინდომა. იმავე დროს პრაიდში სასტიკი ბრძოლები დაიწყო და იძულებული გავხდით, ზოგიერთები იქიდან გამოგვეყვანა, – განმარტა ზოოპარკის დირექტორმა.



ბოლო ხუთი წლის მანძილზე ზოოპარკში ცამეტიდან მხოლოდ ორი ლომის ბოკვერი გაიზარდა, ორი ავადმყოფობისგან დაიღუპა, დანარჩენები კი დააძინეს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## ასტროპროგნოზი

### 18 იანვარი



**ვერძი** – სამსახურში მაქსიმალური მობილიზებულობა და ორგანიზებულობა გმართებთ. უდისციპლინობა არ გეპატიებათ. **კურო** – ახალ გეგმებს ნუ დასახავთ. ჯერ ძველი საქმეები დაამთავრეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **ტყუპები** – მიხედეთ როგორც საკუთარ, ისე ახლობლების ჯანმრთელობას. გადაღლა და ზედმეტი ფუსფუსი რეკომენდებული არ არის. **კირჩხიბი** – კონფლიქტურ სიტუაციებს ერიდეთ. სხვისი საქმეების მოსაგვარებლად ამაოდ გაირჯებით. **ლომი** – სიყვარულში დღეს უთუოდ გაგიმართლებთ. შემთხვევითი ნაცნობობა შესაძლოა სერიოზულ, ღრმა ურთიერთობაში გადაიზარდოს. **ქალწული** – შინაგანად აფორიაქებული ხართ, თუმცა საამისო მიზეზი ნამდვილად არ გაქვთ. ერიდეთ დიდხანს მარტო დარჩენას. **სასწორი** – ნუ იქნებით ზედმეტად მიმნდობი. მიღებული ინფორმაცია საგულდაგულოდ გადაამოწმეთ. **ღრიანკალი** – ნებისმიერ საქმეში წარმატება გელით, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ პროფესიონალიზმს აიმაღლებთ და არ იზარმაცებთ. **მშვილდოსანი** – იყავით თავშეკავებული, შემთხვევით გაცნობილ ადამიანებთან გულახდილობას ვარსკვლავები არ გირჩევენ. **თხის რქა** – კრიტიკული დღეა. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. ნერვებს გაუფრთხილდით და ემოციები მოთოკეთ. **მერწყული** – წინააღმდეგობრივი დღეა. დილით საქმიანი მოლაპარაკებები წარმატებით ჩაივლის. საღამოს მიზნის მისაღწევად მეტი ძალისხმევა დაგჭირდებათ. **თევზები** – ნურავის შეეკამათებით და საკუთარი სიმართლის დამტკიცებას ნუ შეეცდებით. საღამო ოჯახის წევრებთან ერთად გაატარეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. საქონლის, პროდუქციის შემოტანა საზღვარგარეთიდან; 2. ხმის სახშობი მოწყობილობა ჩასაბერ მუსიკალურ ინსტრუმენტებში; 3. ქალაქის მცხოვრებთა სახელწოდება ძველად გერმანიაში; 4. უბანი თბილისში; 5. ვეშაპებზე სანადირო სატყორცნი იარაღი, ბარჯი; 8. მანძილის საზომი ერთეული ასტრონომიაში; 9. ციხე-სიმაგრე ალგეთის ხეობაში; 12. დიდი თევზსაჭერი გემი; 13. ხორბლის ქართული ჯიში; 16. მარტვილის ძველი სახელწოდება; 17. კერძო მეწარმე სოფლად; 19. ესპანური ავიაკომპანია; 20. საგანგებოდ გამოყვანილი დამარილებული და შებოლილი ღორის ხორცი.

**თარაზულად:** 6. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ოქრომჭედელი; 7. იმერეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 8. გულუხვი მასპინძელი; 10. ხატვის ერთ-ერთი ჟანრი; 11. ცეცხლსასროლი იარაღის წარმოების ერთ-ერთი ცენტრი; 14. ანდალუზიელი ბოშების საცეკვაო სასიმღერო სტილი; 15. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური გერმანიაში; 18. უძველესი აკადემია კახეთში; 21. მაღალმთიანი კურორტი გურიაში; 22. საქართველოს რაგბისტთა გუნდის მწვრთნელი; 23. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 24. სამონასტრო კომპლექსი მცხეთის მახლობლად.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. მიოპია; 2. წერილი; 3. მუშტაიდი; 4. ასკანა; 6. მანიკური; 8. ვეფხვი; 11. ბოტანიკა; 12. იოკასტე; 16. კანოე; 17. თოიძე; 18. სიგმა.

**თარაზულად**: 1. მარწყვი; 5. ონიმა; 7. სუფიქსი; 9. პერიგეა; 10. მარშალი; 13. ვენდეტა; 14. ჰოპერი; 15. კოხი; 19. ბაგრატი; 20. ბოტსვანა; 21. ჰეინეკენი; 22. მახათა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. მალხაზი; 2. ჰეროინი; 3. ცილინდრი; 4. პუდელი; 5. ფერხული; 8. ბიბლისი; 9. მატაბელი; 12. ბერნარდი; 13. ჭინჭარი; 16. გაგრიფში; 17. გუდვილი; 19. აღლუმი; 20. მექისე.

**თარაზულად**: 6. ჯარაექიმი; 7. კუბდარი; 8. ბრიუგე; 10. კაოლინი; 11. წუღა; 14. კვიპროსი; 15. ქრისტინე; 18. ხაიამი; 21. ღერღედი; 22. ტენგე; 23. იანუსი; 24. ტიტესტერი.

# ბიბისის სერიალმა მერაბ ნინიძის მონაწილეობით რუსეთი გააღიზიანა



ბიბისის სერიალმა „მაკმაფია“, სადაც ერთ-ერთ მთავარ როლს ქართველი მსახიობი მერაბ ნინიძე ასრულებს, რუსეთის გაღიზიანება გამოიწვია.

სერიალის გამოსვლის შემდეგ რუსეთის საელჩომ დიდ ბრიტანეთში უკმაყოფილება გამოთქვა და განაცხადა, რომ სერიალში ბრიტანეთი წარმოდგენილია როგორც „მოედანი რუსი განგსტერებისთვის“.

ამ განცხადების გაკეთების საფუძველი კი ფილმის შინაარსია. სცენარის მიხედვით, ფილმი რუსული მაფიის მეთაურის ბრიტანეთში დაბადებული შვილის, ალექს გადმენის შესახებაა. 8 ეპიზოდისგან შემდგარი სერიალი მიშა გლენის წიგნის მიხედვით არის გადაღებული.

ფილმის პრემიერას უამრავი ადამიანი ელოდა. სერიალმა არაერთი დადებითი შეფასება დაიმსახურა, თუმცა რუსეთის საელჩო შინაარსით უკმაყოფილოა:

– ბიბისის სერიალში „მაკმაფია“ ბრიტანეთი წარმოდგენილია, როგორც რუსი განგსტერების სამოქმედო მოედანი. თუმცა იცით, რამდენი რუსი დამნაშავე იხდის სასჯელს დიდი ბრიტანეთის ციხეებში? 10-ზე ნაკლები! რუსების მიერ ჩადენილი კრიმინალის მაჩვენებელი დიდ ბრიტანეთში საშუალოზე დაბალია. კარგია, რომ ჩვენი მიმდევრები არ ტყუვდებიან ბიბისის მიერ გავრცელებული კლიშეებით, – ასეთი განცხადება გამოაქვეყნა რუსეთის საელჩომ „ტვიტერის“ გვერდზე.

# ჰოლანდიური რეალითი შოუ საქართველოში გადაიღეს




ჰოლანდიის ერთ-ერთ ყველაზე რეიტინგულ ტელეარხზე რეალითი შოუს ახალი მე-18 სეზონი დაიწყო, რომელსაც მილიონობით მაყურებელი ჰყავს.

როგორც ცნობილი გახდა, ახალი სეზონის 10 ეპიზოდი საქართველოში გადაიღეს. როგორც ჰოლანდიური გადამღები ჯგუფის ქართველმა პროდიუსერმა ნინო აღლაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, 18 წლის განმავლობაში რეალითი შოუს ყველა სეზონს სხვადასხვა ქვეყანაში იღებენ და თითქმის უცვლელი სტატისტიკა დაფიქსირდა: შოუს მაყურებელთა 50 პროცენტი აუცილებლად ჩადის იმ ქვეყნის სანახავად, რომელშიც სათავგადასავლო შოუს ეპიზოდებია გადაღებული:

– ერთი წლის წინ, შოუს პროდიუსერი და რეჟისორი დამიკავშირდნენ და საქართველოში გადაღებებისთვის პროდიუსერად ამიყვანეს. გადაღებები მაისიდან დაიწყო. იანვარში გადასაღები ლოკაციების სანახავად რომ ჩამოვიდნენ, იმდენად აღფრთოვანდნენ, ათივე ეპიზოდის საქართველოში გადაღება გადაწყვიტეს. ყველაზე მეტად მოეწონათ ქვეყნის მრავალფეროვნება. გაოცებულები იყვნენ, ასეთ პატარა ტერიტორიაზე ასეთი მრავალფეროვანი გადასაღები ადგილების მოძიება რომ შეძლეს.

როგორც ნინო აღლაძემ განაცხადა, აღნიშნულ შოუს რეიტინგი, ჰოლანდიის სატელევიზიო სივრცის 40-45% მოიცავს, რაც ძალიან დიდი რიცხვია.

## სამგლოვიარო განცხადებები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი, ღვაწლმოსილი მამულიშვილი, აფხაზეთში ომის წინა წლებში ქ.სოხუმისა და აფხაზეთის ახალგაზრდობის ლიდერი, ქ.სოხუმის მმართველობითი რგოლის პასუხისმგებელი პირი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დამსახურებული მუშაკი, აფხაზეთის საგზაო პოლიციის უფროსი, აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, პოლიციის პოლკოვნიკი, აფხაზეთის ომის ვეტერანი, აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ვეტერანი ფეხბურთელი, ღირსების ორდენის კავალერი

**მურად ანჯაფარიძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# მტკვრის ქუჩაზე აღმოჩენილი ისტორიული ნაშთების კონსერვაცია მიწის დაფარვის წესით განხორციელდება



თბილისში, მტკვრის ქუჩაზე, ინფრასტრუქტურული სამუშაოების შედეგად გამოვლენილ 2 საუკუნოვანი აგურით ნაშენი წყალშემკრები საკომუნიკაციო ნაგებობის კონსერვაცია მისი მიწით დაფარვის წესით განხორციელდება. ეს გადაწყვეტილება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ, მისი მუდმივმოქმედი საბჭოს წევრების შეფასებებისა და ანალიზის საფუძველზე მიიღო, რომელთაც მე-19 საუკუნის დროინდელი ისტორიული ნაშთები გასვლითი სხდომის ფარგლებში მოინახულეს.

საბჭოს შემადგენლობაში შემავალი არქეოლოგების, არქიტექტორ-რესტავრატორების, გეოლოგებისა და ხელოვნებათმცოდნეების მიერ ობიექტის სრულყოფილი სამეცნიერო-კვლევითი შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აგურით ნაშენი ნაგებობის არქეოლოგიურ თვალსაჩინოებად შენარჩუნებისა და საპრეზენტაციო მიზნებისათვის კონსერვაციის განხორციელების ძირითად დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს გრუნტის წყლები და საბჭოთა პერიოდში დაზიანებული საკანალიზაციო სისტემა. არქეოლოგიური ობიექტის ძირი მუდმივად იფარება წყლით, რაც მის დაჭაობებასა და ანტისანიტარიის კერის წარმოქმნას იწვევს. სპეციალისტების დასკვნის მიხედვით, ნაგებობის ნაშთების სრულფასოვანი კვლევის მიზნით წარმოებული მიწის სამუშაოები უცილობლად გამოიწვევს მომიჯნავე შენობების, საქართველოს კინემატოგრაფიის ცენტრის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საძირკვლების მოშიშვლებას.

არქეოლოგიური ობიექტის კონსერვაციის შემდგომ, შესაძლო საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, ადგილზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები არქეოლოგის ზედამხედველობის ქვეშ წარიმართება.

ობიექტის კონსერვაციამდე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო უზრუნველყოფს არქეოლოგიური ნაშთის ანაზომებისა და ფოტო-ფიქსაციის პროცესს. კონსერვაციის შემდგომ კი არქეოლოგიური ობიექტის მდებარეობის ადგილზე საინფორმაციო ბანერი განთავსდება.

მტკვრის ქუჩაზე არქეოლოგიური ობიექტი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისას გამოვლინდა. მშენებელმა კომპანიამ მიმდინარე სამუშაოები კანონმდებლობის თანახმად შეაჩერა და შესაბამისი შეტყობინებით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს აცნობა. ფიზიკური დაზიანების თავიდან ასაცილებლად, ობიექტი მუდმივად იმყოფებოდა სააგენტოს არქეოლოგიური სამსახურის ზედამხედველობის ქვეშ. არქეოლოგიური ნაშთების გაწმენდის შედეგად გამოვლენილი ფრაგმენტები ინვენტარიზებულია და დაცულია სააგენტოს არქეოლოგიური სამსახურის ფონდში.

არქეოლოგიური ობიექტი XIX საუკუნის ბოლო პერიოდის აგურით ნაშენ წყალშემკრებ საკომუნიკაციო ნაგებობას წარმოადგენს, რომელსაც XX საუკუნის 50-იანი წლებიდან პირველადი დანიშნულების ფუნქცია დაკარგული აქვს. საბჭოთა პერიოდიდანვე ნაგებობა სამშენებლო სამუშაოების შედეგად მნიშვნელოვნადაა დაზიანებული.

# ჰენრი მერვეს დოკუმენტებში საქართველოზე უმნიშვნელოვანესი ცნობები აღმოაჩინეს



მსოფლიოს ერთ-ერთი ძლევამოსილი მონარქის ჰენრი მერვეს დოკუმენტებში აღმოაჩინეს წერილი, რომელიც ინგლისის მეფეს საქართველოზე უყვება.

ინფორმაცია ამის შესახებ ისტორიკოსმა გიორგი კალანდიამ გაავრცელა:

– პორტრეტზე ჰენრი მერვეა, ბრიტანეთის სახელგანთქმული მეფე, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ძლევამოსილი მონარქი. აქვეა მისადმი გაგზავნილი წერილი, რომელიც ლათინურადაა შედგენილი და 2015 წელს ირლანდიის ეროვნული ბიბლიოთეკიდან ჩამოვიტანეთ, ეს წერილი ინგლისის მეფეს საქართველოზე უყვება, თან ისეთ ამბებს, რომელთა შესახებ ჩვენ სამშობლოში არაფერი ვიცოდით.

რა თქმა უნდა, ამბავი ჩვენს თავდადებას, ბრძოლას და ვაჟკაცობას ეხება. საყურადღებოა ისიც, რომ ჰენრი მერვე თურმე თურქთა წინააღმდეგ დიდი ლაშქრობის მოწყობას გეგმავდა და ქრისტიანთა გაერთიანებულ ლაშქარში ქართველთა მეფის ადგილს მნიშვნელოვნად მიიჩნევდა.

კიდევ ერთი საინტერესო საკითხი, მიიღო თუ არა ქართველმა მეფემ მონაწილეობა მე-15 საუკუნეში ფლორენციის საბჭოს სხდომაში? ეს ამბავი ჩვენს ისტორიაში უცნობია, თუმცა ამაზე ევროპული დოკუმენტები საუბრობენ!

ხელოვნების სასახლის სამეცნიერო ექსპედიციამ ირლანდიიდან ინგლისის სამეფო კანცელარიაში დაცული საქართველოსთან დაკავშირებული 20 წერილი ჩამოიტანა. ეს არის ელისაბედ პირველის, მარია ტიუდორის, ჰენრი მერვის საიდუმლო და სახელმწიფო ქაღალდების, საქმეების ნაწილი, აქ საქართველოს სახელის დაფიქსირება ჩვენთვის მოულოდნელი, მაგრამ ფრიად სასიამოვნო აღმოჩნდა.

ხელოვნების სასახლეში ამ მასალის შესწავლა უკვე დაწყებულია, შეიძლება ითქვას, იგი იმ პროექტის გაგრძელებაა, რომლის ფარგლებშიც ფონდ „ქართუს“ დახმარებით ვთარგმნეთ და გამოვეცით წიგნი „მეფე ერეკლე ბრიტანულ და ირლანდიურ პრესაში“. წიგნის პრეზენტაცია გაზაფხულზე ხელოვნების სასახლეში გაიმართება, მანამდე კი, დროდადრო თარგმნილ და მეცნიერულად დამუშავებულ ახალ ცნობებს ინგლისის მეფეთა კანცელარიიდან ჟურნალ „ისტორიანში“ გამოვაქვეყნებთ. მიხარია, რომ ხელოვნების სასახლე უკვე ასეთ მნიშვნელოვან სამეცნიერო საქმიანობასაც ეწევა.

# ტელეგრაფმა გერგეტის სამება მსოფლიოს ულამაზეს ტაძრებს შორის დაასახელა



გავლენიანმა ბრიტანულმა გამოცემა ტელეგრაფმა მსოფლიოს ყველაზე ლამაზი ტაძრების სია გამოაქვეყნა. ჩამონათვალში XIV საუკუნის ქართული კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ნიმუში გერგეტის სამების ეკლესიაც მოხვდა.

გერგეტის სამებასთან ერთად სიაში შეტანილია 23 ულამაზესი ტაძარი, მათ შორის ლა საგრადა-ფამილია და მარიამ მაგდალინელის სახელობის ტაძარი, რომელიც იერუსალიმში მდებარეობს.

რაც შეეხება გერგეტის სამებას, როგორც ტელეგრაფის სტატიაშია აღნიშნული, იგი ერთ-ერთი ულამაზესია იმ ეკლესიებს შორის, რაც კი მას უნახავს:

– მიუხედავად იმის, რომ საბჭოთა კავშირის ეპოქაში საეკლესიო მსახურება იკრძალებოდა, ტაძარი მაინც იყო თაყვანისცემის ადგილი.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## პროგრამა

ხუთშაბათი
18 იანვარი

07.30 "ნამდვილი დრო" 08.00 "მადაგასკარის პინგვინები" 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 "მოამბე" 09.15 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 10.00, 03.14 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" 12.15, 21.30 "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" 13.00 დოკ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" 13.25 ტ/სერ. "**ელემენტარული**" 14.30 დოკ/ფ "ჩამოთვლილთაგან არც ერთი" 15.30, 05.46 დოკ/ფ 16.30 ტ/სერ. "**ტრიუმფი**" 18.30 დოკ/ფ "გონების თამაშები" 20.00 ტ/სერ. "**ელემენტარული**" 22.15 ტ/სერ. "**ომი და მშვიდობა**" 23.15 მხ/ფ "**საბრალონი**" 01.35 მხ/ფ "**სამოთხე რეალურია**" 04.17 ტ/სერ. "**ტრიუმფი**"

06.30, 18.50, 19.03 სერ. "**დასაწყისი**" 2-3 სერ. 07.30, 08.15, 09.20 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.05 ქრონიკა 10.15, 11.20 სერ. "**ელიფი**" 12.30 იმედის დღე 14.40, 16.00 სერ. "**ტყუილი**" 17.45 სერ. "**ცოდვილი**" 21.00 სპორტი 21.08 ამინდი 21.10 სერ. "**დედა**" 22.00 სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად 23.30 სპორტი იმედზე 00.00 სერ. "**სიყვარულისთვის**" 4 სერ. 01.30 მხ/ფ "**ბნელი ცა**" 03.35 მხ/ფ "**შავი ზღვა**" 05.00 მხ/ფ "**ბედისწერა**"

06.00, 18.50 სერ. "**მეორე შანსი**" 07.00, 20.03 სერ. "**დიდი ოჯახი**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**მფარველი ანგელოზი**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**ბედის ანაბარა**" 15.40 სერ. "**მზიანი დღეები**" 16.55 სერ. "**ოთხი ისტორია**" 22.00 პროფილი 23.30 გააცინე და მოიგე 00.00, 01.00, 02.00 მხ/ფ 01.50 კურიერის დაიჯესტი

tv პირველი 7.50 ან/ფ 8.00 საქმიანი დილა 11.00, ქალების ნარატივი 12.00 სერ. "**რამონზე შეყვარებული**" 13.00, 17.00, 22.00 საინფორმაციო გამოშვება -NEWS 14.00, 16.00 ნინო ჟიჟილაშვილის დღის ამბები 15.00, 22.30, საქმის კურსი 17.50, 20.00 0.00, 2.00, მხ/ფ 23.30 სერ. "**დამალული სიმართლე**"

GDS 08.00 ან/ფ "ატომი" 09.00 სერ. "**ერთხელ ზღაპარში**" 12.00, 21.00 სერ. "**ელ პრინსიპე**" 13.00 სერ. "**კრიმინალური აზროვნება 7**" 17.00 სერ. "**ქუანტიკო**" 19.00 სერ. "**ჯაშუში 2**" 22.30 მხ/ფ "**სამართლიანი თამაში**" 00.30 მხ/ფ "**სპეცრაზმი**" 02.40 მხ/ფ "**სპეცრაზმი-ცეცხლოვანი ბრძოლა**" 04.20 მხ/ფ "**ჯონი ქიუ**" 06.20 მხ/ფ "**სრულყოფილი მკვლელობა**"

იბერია 08.00 ანანდა 08.10 სისი 08.30 სერ. "**ბანდოლერა**" 10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55 ტელემარკეტი 11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40, 00.00 ახალი ამბები 12.00 ანიმაცია 13.30, 17.30 ახალი ამბები არჩილ გამზარდიათან ერთად 14.30 ექიმის საათი 15.00, 02.00 მოდი გავეყაროთ 16.00, 3.00 ფაბრიკა 19.55 მე რომ ვიყო 20.00 დე ფაქტო 21.00 სერ. "**პირადი საქმე**" 22.00 სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" 23.00 სახალხო კონტროლი 01.30 მხ/ფ

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "ველური ბუნება" 06.40 მხ/ფ "**ეი,მაესტრო**" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 საგალობელი 08.30 "განთიადი" 10.00 ფოტოგალერეა 10.10 მულტფილმი "ლედი და მაწანწალა" 11.30 ეპოქის სახელები 12.05 მხ/ფ "**მე ვხედავ მზეს**" 13.30 კონცერტი - ტრიო "თბილისი" 15.05 დ/ფ "ფენომენი" II ნაწ. 16.10 კონცერტი - თბილისის საგუნდო მუსიკის ფესტივალი 17.40 მოკ. მხ/ფ "**ფრესკა**" 18.15 დ/ფ "ლიგურკე" 19.00, 22.00, 00.10 სიახლენი 19.25 "განთიადი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ძილი ნებისა 21.30 ისტორიანი "ლაშა გიორგი" 22.20 დ/ფ "დედა ღვთისმშობელი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მოკ. მხ/ფ "**წერილი ნაძვებს**" 00.00 საეკლესიო კალენდარი 00.15 მხ/ფ "**კაცია ადამიანი?!**" 01.45 კონცერტი -თბილისის საერთაშორისო სასულე საკრავთა ფესტივალი 03.05 მხ/ფ "**საბრინა**" 04.50 დ/ფ "ფენომენი" II ნაწ.

მაესტრო 10.00 - 23.00 მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) 10.30 - 3.00 ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**18 იანვრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.5423 |
| ევრო | 3.1209 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.5079 |
| 100 რუსული რუბლი | 4.5054 |

## ამინდის პროგნოზი 18 იანვრისთვის








## 28 დეკემბრიდან
### ჩემი შემეცნებითი ახალი წელი

ამ წიგნით ბავშვები გააკეთებენ ნაძვის ხის სათამაშოებს, შექმნიან მისალოც ბარათებს, დახატავენ თოვლის ბაბუას,ააწყობენ ფაზლებს და ამ ყველაფრით სიამოვნებით დაკავდებიან საახალწლო არდადეგებზე. ამას გარდა, მას შესანიშნავად გამოიყენებენ საბავშვო ბაღებშიც...

**ფასი გაზეთთან ერთად 5.50 ლარი**




## 9 იანვრიდან
ავთანდილ ბუხრაშვილის
### ქალი ჩანთაში

**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**


## დორტმუნდის ბორუსია ბარტრას გაყიდვას აპირებს



დორტმუნდის ბორუსია სავარაუდოდ თავის ესპანელ მცველ მარკ ბარტრას გაყიდის, რადგან ბოლო პერიოდში ბარტრამ ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და მას ესპანეთში სურს დაბრუნება.

ბარტრას შეძენით რამდენიმე ესპანური კლუბია დაინტერესებული, თუმცა ამ კლუბების ვინაობა არ სახელდება.

შეგახსენებთ, რომ მარკ ბარტრა ბარსელონას აღზრდილია და ის ბორუსიაში 2 წლის წინ გადავიდა.

## ჟოზე მოურინიო მანჩესტერ იუნაიტედთან კონტრაქტს გაახანგრძლივებს



მანჩესტერ იუნაიტედის მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო თავის გუნდთან ახალ კონტრაქტს მოაწერს ხელს და ის მანჩესტერში 2021 წლის ჩათვლით იმუშავებს.

მოურინიოს თქმით, ის კმაყოფილია მანჩესტერ იუნაიტედში შექმნილი პირობებით და შეეცდება, რომ გუნდი მომავალში უფრო გააძლიეროს და მასთან ერთად ბევრი ტიტული მოიგოს.

პრემიერ ლიგაში მოურინიოს გუნდი მეორე ადგილზეა და მანჩესტერ სიტის 12 ქულით ჩამორჩება. მიუხედავად ამისა, ჟოზე თვლის, რომ ჩემპიონობის მოპოვება ჯერ კიდევ შესაძლებელია, მაგრამ ამის გაკეთება რთული იქნება.

## დავიდ ვილიას მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში სურს



ესპანელმა ვეტერანმა ფეხბურთელმა დავიდ ვილიამ განაცხადა, რომ მას სურს 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში და ამისთვის ძალებს არ დაიშურებს.

ამჟამად ვილია ნიუ იორკ სიტიში თამაშობს და საკმაოდ შედეგიანია, თუმცა რამდენად მოხვდება ის ნაკრების შემადგენლობაში, რთული სათქმელია.

რამდენიმე თვის წინ ვილია გამოიძახეს ესპანეთის ნაკრებში, მაგრამ მაშინ მან ტრავმის გამო ვერ შეძლო თამაში.



## იუმორი

ახალგაზრდა მამაკაცი აფთიაქის გამყიდველს მიმართავს:

– ფეხმძიმობის ორი ტესტი მომეცით.

ამ დროს მობილურზე სმს-ი მოუვიდა. წაიკითხა და ჩაილაპარაკა:

– შენი დედა... ეს რა დღე მაქვს...

– თუ შეიძლება სამი ტესტი მომეცით.

•••

სომეხი მინდორში მიდის და უცბად ხედავს მფრინავი თეფში დაეშვა. სწრაფად დაკრიფა ყვავილები და მფრინავ თეფშთან მიიჭრა. ხომალდის კარი გაიღო და ორი პატარა კაცუნა გამოვიდა. სომეხი ყვავილებით მიეგებათ და ეუბნება:

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ცავატანემ.

– ვაა, აქაც მოგვასწრეს...

•••

ორი ქალი საუბრობს, ერთი მეორეს ეკითხება:

– შენი შვილის მათემატიკა მოამზადე?

– კი.

– გადამაწერინე, რა.

•••

მასწავლებელი გოგის ეკითხება:

– აბა დღეს რა კარგი საქმე გააკეთე?

– დილით მამას რომ ვაცილებდი, დავინახე, თუ როგორ მისდევდა ავტობუსს ბიძია, მე ჩემი პიტბული ავუშვი და ბიძია ავტობუსს დაეწია.

•••

მოხუცი ქალი გვერდით მდგომ ნარკომანს ეუბნება:

– შვილო, ფანჯარა დახურე, გარეთ ცივა.

– ბებო, შენ გგონია, ფანჯარას თუ დავხურავ, გარეთ დათბება?

•••

დილით დედამთილი რძალს ეკითხება:

– საქონელი დაანაყრე?

– არა, თქვენ შვილს ჯერ ისევ სძინავს...

***

მამა ზარმაც შვილს ეუბნება:

– სიზარმაცე სპორტის ოლიმპიური სახეობა რომ ყოფილიყო, მეოთხე ადგილს დაიკავებდი.

– მეოთხეს რატომ?

– კვარცხლბეკზე რომ არ აბობღებულიყავი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## 16 იანვრიდან
ალექსანდრე იასალაშვილი




### „მგლის ბილიკი“

ქართული დეტექტივი ტომი 1

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 19 იანვრიდან
ალექსანდრე იასალაშვილი




### შავი ვარდი

ქართული დეტექტივი ტომი 2

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 23 იანვრიდან
იორამ ჩადუნელი




### საზღაური

ქართული დეტექტივი ტომი 3

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 26 იანვრიდან
რომან გვენცაძე




### საბედისწერო გასროლა

ქართული დეტექტივი, ტომი 4

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 30 იანვრიდან
ჯემალ ჩახავა




### ქურდები და არიფები

ქართული დეტექტივი, ტომი 5

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**


## რონალდინიოს კარიერა ოფიციალურად დასრულდა



ლეგენდარულმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა რონალდინიომ კარიერა ოფიციალურად დაასრულა. ამის შესახებ განცხადება რონალდინიოს ძმამ გააკეთა, რომელიც ასევე მისი აგენტია.

რონალდინიოს ბოლო გუნდი ფლუმინენსე იყო, რომელიც მან ერთი წლის წინ დატოვა და ამის შემდეგ ის თავისუფალი აგენტი იყო. რონალდინიო არ აპირებდა კარიერის დასრულებას, მაგრამ, როგორც ჩანს, თავისთვის შესაფერისი კლუბი ვერ იპოვა.

კარიერის საუკეთესო ნაწილი რონალდინიომ ბარსელონაში გაატარა, სადაც 2006 წელს ჩემპიონთა ლიგა და შემდგომში უკვე ოქროს ბურთი მოიგო.

## ბასილაშვილი ავსტრალიის ღია პირველობაზე მესამე წრეში გავიდა



ქართველმა ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა რუბენ ბემელმანსი სამ სეტში დაამარცხა და ავსტრალიის ღია პირველობაზე მესამე წრეში გავიდა. ბასილაშვილმა საკმაოდ იოლად მოიპოვა გამარჯვება და ბემელმანსმა მას წინააღმდეგობა ვერ გაუწია.

ბასილაშვილის მომდევნო მეტოქე ბრიტანელი კაილ ედმუნდი იქნება, რომელიც ამჟამად მსოფლიოს რეიტინგში 49-ე პოზიციას იკავებს. თუ ნიკამ თავისი მეტოქე დაამარცხა, ის თავის კარიერაში პირველად გავა დიდი სლემის ტურნირის მერვედფინალში, რაც მისთვის უდიდესი წარმატება იქნება.

ედმუნდთან შეხვედრა 19 იანვარს, დილის 4 საათზე დაიწყება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ამერიკული ხალხური მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 2. ავტორიტეტი, გავლენა; 3. ისტორიული სასტუმრო პარიზში; 5. სარეცხი მანქანის გამომგონებელი ამერიკელი ინჟინერი; 6. მტკვრის მარჯვენა შენაკადი ქვემო ქართლში; 7. კვიპროსის დედაქალაქი; 11. სპორტული საფარიკაო იარაღი; 13. გურიასა და აჭარაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ჯიში; 14. ვაშლის ღვინო; 15. ხორცისგულიანი სვანური ორცხობილა; 16. ჩინური ლოგიკური მაგიდის სათამაშო; 17. იაპონური თეატრი, სადაც ყველა როლს მამაკაცები ასრულებენ; 19. ფილოსოფიური მოძღვრება მორალისა და ზნეობის შესახებ; 20. თხუნელას მეორე სახელწოდება.

**თარაზულად:** 1. ძველებური პირფართე ისარი; 4. მემკვიდრეობითი ტიტული ევროპაში; 8. ფუტკრის მიერ გამომუშავებული მოყვითალო ფერის ნივთიერება; 9. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 10. კონსტრუქცია, რომელიც მეთოჯინე მსახიობებს მაყურებლებისგან ყოფს; 12. უღელტეხილი კახეთში; 14. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 15. ქართული ტელეკომპანია; 16. დელაკრუას ცნობილი ფერწერული ტილო; 18. მონასტერი სიღნაღის რაიონში; 21. ვირტუოზი ბელგიელი მევიოლინე მამაკაცი; 22. ტემპერატურის საზომი ერთეული; 23. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

